ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 25 – 26 მაისი, 2019

№122 (8076)

ფასი: 60 თეთრი

## ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული მ.შ. 2017 წელს სკოლიდან გაიპარა

რას ყვება მისი დირექტორი



გვ.7

## მიხეილ დვალიშვილი პოლიციამ დაკითხა



გვ.4

# დავით ქაცარავა: „აზერბაიჯანული მხარე ცდილობს, წაგვართვას ტერიტორიები“



გვ.3



## შალვა ნათელაშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა დავითგარეჯი ილხამ ალიევს მიჰყიდა“



გვ.4

## „10-დან 9 ადამიანი რევოლუციას ითხოვს“

მურმან დუმბაძე: „ოცნებაში“ დაპირისპირება ღრმავდება“



გვ.2

## კორნელი კაკაჩია: „ხალხი მზად არ არის, რომ ხელისუფლება რევოლუციით შეცვალოს“



გვ.4

## გიორგი კახიანი: „ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი შანსი არ აქვთ“

„მთაწმინდაზე მეორე ტურში მეტი მუშაობა დაგვჭირდება“



გვ.3

## მამუკა გვაძაბია: „მოსკოვს ბუჯანიას გაპრეზიდენტება არ აწყობს“



გვ.5

### სამართალი

გვ.7

## მერაბ კვირიკაშვილის საქმეზე განაჩენი 30 მაისს გამოცხადდება



## თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ყაჩაღობისთვის ა.ა.-ს 9 წელი მიესაჯა



## ომარ მახარაძის საქმეზე მუხლი დამძიმდა



### ეკონომიკა

გვ.6



## რევაზ არველაძე: „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ კანონპროექტის მიღება ტარიფების გაზრდას გამოიწვევს“



## „ქართული ოცნების“ დეპუტატები ქიათურის მოვლენებზე პირად პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ“



## 2014 წლის შემდეგ რუსეთიდან შემოტანილი საწვავის წილი 5%-დან 27%-მდე გაიზარდა

ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 აფხაზეთი გადატრიალებას გადაურჩა

2 სუსმა თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

7 პრეზიდენტმა 8 პატიმარი და 3 პირობით მსჯავრდებული შეიწყალა

8 ტერეზა მეი დიდი ბრიტანეთის პრემიერის პოსტს ტოვებს

# „10-დან 9 ადამიანი რევოლუციას ითხოვს“

## მურმან დუმბაძე: „ოცნებაში“ დაპირისპირება ღრმავდება“

შორენა მარსაგიშვილი

რას ამბობენ „ოცნების“ კულუარებში ივანიშვილზე, როდემდე შეიძლება ფულით არჩევნების მოგება, შესაძლებელია თუ არა არჩევნებით ხელისუფლების შეცვლა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ემსახურე საქართველოს“ ლიდერი **მურმან დუმბაძე** ესაუბრება.

***– 19 მაისს გამართულ არჩევნებში კვლავ ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ექსპერტების ნაწილის აზრით, ახლავე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ 2020 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებსაც „ოცნება“ მოიგებს. თქვენ რას იტყვით?***

– მე ასე არ ვიტყოდი. 19 მაისს გამართულმა არჩევნებმა დაგვანახა, რომ „ქართული ოცნება“ დაღმავლობის გზით მიდის. ჩათვალეთ, რომ ბიძინა ივანიშვილი უკვე დამარცხებულია.

მმართველმა პარტიამ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა, რითაც არჩევნების გაყალბება შეიძლებოდა, უკან არც ამომრჩევლის მოსყიდვაზე დაუხევიათ, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწიეს.

ზუგდიდში გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა 42% აიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ხმები თითქმის შუაზე გაიყო. არადა, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ მთავარი კონკურენტის რეიტინგი ნულზე დაეყვანა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. გამოდის, რომ გაერთიანებულ ოპოზიციას ამომრჩეველი შენარჩუნებული ჰყავს.

ნაციონალურმა მოძრაობამ ამომრჩევლის შენარჩუნება მთიან რეგიონებშიც კი შეძლო. ერთი თვე ხულოში მომიხდა ყოფნა და ჩემი თვალით ვნახე ეს. მთიან ადგილებში ხალხი უფრო მეტად არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე და იქ, როგორც წესი, ოპოზიციას უჭირს.

90-იანი წლების შემდეგ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა დამარცხებული ხელისუფლება ამომრჩევლსა და პარტიულ სტრუქტურას ინარჩუნებს, რაც პატარა ამბავი ნამდვილად არ არის.

ყველაზე მივარდნილ სოფელშიც რომ მიხვიდეთ, სადაც ინფორმაციის ნაკლებობაა, გაერთიანებულ ოპოზიციას იქაც კი ჰყავს მხარდამჭერები. ამ მივარდნილ სოფლებშიც გეტყვიან, რომ „ოცნებას“ წინა ხელისუფლება სჯობდა. გეტყვიან, რომ ერთპარტიულ მმართველობას კოალიციური მთავრობა სჯობია.

ყველა აცნობიერებს, რომ დღეს ივანიშვილის დამარცხება შეუძლია მხოლოდ გაერთიანებულ ოპოზიციას. ამ ერთობაში ის პარტიაა ლიდერი, რომელსაც მე მთელი 9 წელი ვებრძოდი.

ყველაზე კარგი იქნებოდა,. რომ არჩევნებში პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ მიიღოს 20%, მეორე ადგილზე გასულმა – 19%, მესამე ადგილზე გასულმა – 18%.

დღევანდელი ელექტორალური მონაცემებით, ასე არ იქნება. არსებობს „ოცნება“ მისი სახელისუფლებო ვერტიკალით და გაერთიანებული ოპოზიცია.

***– სხვა პარტიებს საერთოდ არანაირი შანსი არ აქვთ?***



– როგორ არა. ავიღოთ „ევროპული საქართველო“, რომელიც მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და ალბათ ბარიერსაც გადალახავს.

სხვა პარტიებს ამის შანსი არ აქვთ, მათ შორის არც პატრიოტთა ალიანსს, რომელიც დღეს პარლამენტშია წარმოდგენილი.

2012 წლის 1 ოქტომბერს ივანიშვილმა დაამარცხა მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ 2012 წლის 2 ოქტომბრიდან სააკაშვილმა დაიწყო „ოცნების“ ლიდერის დამარცხება.

***– რაღაც ძალიან გაუგრძელდა სააკაშვილს ივანიშვილის დამარცხება.***

– ასე უცბად ხელისუფლებების ცვლილება არ ხდება. შევარდნაძეც 8 წელი იყო ხელისუფლებაში და სააკაშვილიც. „ოცნების“ ლიდერიც 8 წლის თავზე დამთავრდება.

ბიძინა ივანიშვილის დამარცხების უსწრაფესი წამალი დიდი ოპოზიციური გაერთიანებაა. დღეს არსებული ერთობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის „ოცნებას“, მაგრამ სასურველი იქნება, თუ ამ ერთობას კიდევ უფრო მეტი ადამიანი და ევროპაზე ორიენტირებული პარტია შემოუერთდება.



აშკარაა, რომ „ოცნება“ მაჟორიტარულ სისტემაზე უარს არ იტყვის. ეს სისტემა ივანიშვილის ძალაუფლების მკვებავი არტერიაა, მხოლოდ მათი დახმარებით შეძლებს ხელისუფლებაში დარჩენას. დიდი ოპოზიციური გაერთიანება თუ შედგა, ივანიშვილს ძალიან მწარედ დავამარცხებთ.

***– თქვენ კი ხართ ოპტიმისტურად განწყობილი, მაგრამ შუალედურმა არჩევნებმა ოპოზიციის მომხრეებში სერიოზული ნიჰილიზმი გააჩინა.***

– მესმის ამ ადამიანების, მაგრამ ნიჰილიზმისთვის საფუძველი არ არსებობს. ივანიშვილი უკვე დამარცხებულია.

***– ამას უკვე მეორედ ამბობთ და რანაირად არის დამარცხებული, ყველა არჩევნებს ეგ იგებს.***

– გაგახსენებთ სააკაშვილის მმართველობის პერიოდს. მაშინ ნაციონალური მოძრაობა ყველა არჩევნებს ტოტალურად იგებდა. იგებდა,

**ბიძინა ივანიშვილის დამარცხების უსწრაფესი წამალი დიდი ოპოზიციური გაერთიანებაა. დღეს არსებული ერთობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის „ოცნებას“, მაგრამ, სასურველი იქნება, თუ ამ ერთობას კიდევ უფრო მეტი ადამიანი და ევროპაზე ორიენტირებული პარტია შემოუერთდება.**

იგებდა, მაგრამ, როცა მისი მმართველობიდან 8 წელი გავიდა, ქართველი ამომრჩეველი საკუთარი ფანქრებით მივიდა საარჩევნო უბნებზე და უარი უთხრა ნაცმოძრაობას.

2003 წელს შევარდნაძე ვარდების რევოლუციით რომ არ გაგვეგდო, დარჩებოდა? რა თქმა უნდა, არა. 2004 წელს მას ვადა ეწურებოდა, მაგრამ ხალხი მას ისედაც გაუშვებდა.

დარწმუნებული ვარ, 8 წლის ფაქტორი ივანიშვილის შემთხვევაშიც იმუშავებს.

***– თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით, ამ ადამიანს უზარმაზარი ფული აქვს. 8 მილიარდს გადაწონის 8 წელი?***

– გასაგებია, რომ მთავარი ბალავარი რესურსში არის ფულში. ექსპერტები ამბობენ და მეც ვეთანხმები, რომ ფულიც გაჯერებადია. ძალიან ბევრი ფულის გამოყრა ინფლაციას იწვევს. 19 მაისამდე ლარის კურსი 2.72 იყო, არჩევნების მერე 2.80 გახდა.

ასე რომ, გამოყრილი ფული აისახება მხოლოდ სავალუტო ჯიხურებთან, მოსახლეობაზე აღარ იმოქმედებს.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მომავალ არჩევნებში რაც შეიძლება მეტმა პარტიამ გადალახოს ბარიერი. შევიდეთ პარლამენტში და იქ შევქმნათ კოალიცია. კოალიციური მთავრობა არასდროს გვყოლია და დროა, ეს ვარიანტიც გამოვცადოთ. დარწმუნებული ვარ, ეს ქვეყანას წაადგება და სამშვიდობოსაც გავალთ.

ამიტომაც ვუჭერ მხარს იმ პარტიას, რომელსაც 9 წელი ვებრძოდი. სხვა პარტიისთვის მხარდაჭერა დაკარგული ენერგია და დაკარგული ხმებია. მე კი არ მინდა, რომ ხმები დაიკარგოს.

***– მართალია, „ოცნებიდან“ 2013 წელს წამოხვედით, მაგრამ იქ ისევ გყავთ ნაცნობები და მათი შიდა სამზარეულოც გეცოდინებათ. ბევრს საუბრობენ მმართველ გუნდში არსებულ დაპირისპირებაზე. თქვენი ინფორმაციით, რა ხდება „ოცნებაში“?***

– როდესაც პარლამენტის წევრი ვიყავი, „ოცნების“ წევრებთან ყოველთვის მქონდა კულუარული საუბრები. შინაურულ საუბრებში ისინიც იმას ამბობენ, რასაც მე ვლაპარაკობ, მაგრამ, მიკროფონთან როცა მიდიან, სხვა რამეს ამბობენ. გადაწყვეტილებებსაც ისეთს იღებენ, როგორსაც ივანიშვილი ითხოვს.

ამის მიუხედავად, „ოცნების“ შიგნით ნელნელა ჩნდება ბზარი, სულ უფრო იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ივანიშვილს ეწინააღმდეგებიან. რამდენიმე მათგანმა პარტია ოფიციალურად დატოვა. ეს უმნიშვნელო ამბავი არ არის და იქიდან ხალხის წამოსვლა გაგრძელდება.

შუალედური არჩევნების წინ ერთი დღით ვიყავი ზუგდიდში, სადაც საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებსაც შევხვდი. მათთან გულწრფელი და შინაურული საუბარი არ მქონია, მაგრამ მათ თვალებში დავინახე, რასაც ისინი გულში ფიქრობენ.

***– რა გითხრათ მათმა თვალებმა?***

– ის, რაზეც მე თავად ვლაპარაკობ, უმრავლესობის დეპუტატები კარგა ხნის განმავლობაში იყვნენ ზუგდიდში და საკუთარი თვალით ნახეს, თუ რამდენი ადამიანი იყო მიმწყდარი გაერთიანებული ოპოზიციის ოფისებს.

ეს ხალხი არის იდეური მხარდამჭერი, ოპოზიცია მათ ფულს ვერ დაურიგებდა. ვერც კომფორტს შეუქმნიდა. პირიქით, ახლა ოპოზიციის მხარდაჭერა ეკალში დაჯდომას ნიშნავს.

ამის მიუხედავად, უამრავი ადამიანი იყო მიმწყდარი ოპოზიციის ოფისებს. ამას საკუთარი თვალით უყურებდნენ „ოცნების“ წევრები.

როცა ასეთ სურათს ხედავენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ბუნებრივია, ფიქრობენ, რომ შეიძლება ისინი ცდებიან. ბევრი უკვე დარწმუნდა იმაში, რომ შეცდა.

რაც მეტად გაიზრდება ოპოზიციის მხარდაჭერა, მით უფრო მეტად გაიზრდება ნიჰილიზმი „ოცნების“ რიგებში. ბზარი ისედაც გაჩენილია.

***– ამბობენ, რომ ბზარი გაერთიანებულ ოპოზიციაშიც გაჩნდა.***

– ეს ხმები ნიკა მელიას ცნობილი განცხადებების შემდეგ გავრცელდა. მინდა გითხრათ, რომ არანაირი ბზარი ოპოზიციაში არ გაჩენილა. გამუდმებული კონტაქტი მაქვს ლიდერებთან და მათ შორის ნიკა მელიასთან. არაფერიც არ ხდება.

ნიკა მელიას ისეთი არაფერი უთქვამს, მან თქვა, რომ როცა რაღაც დიდი გეგმა დაანონსდება, კარგი იქნება, თუ ის ყველასთან იქნება შეთანხმებულა.

მოგეხსენებათ, რომ მე ხშირად ვხვდები მოსახლეობას და კარგად ვიცი მათი განწყობა. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ ივანიშვილს რევოლუციას გარეშე ვერ მოვიშორებთ.

მინდა, ყველამ იცოდეს, რომ დღეს რევოლუციას აკავებს ოპოზიცია. ჩვენ ვაჩერებთ ხალხს. ვაჩერებთ, რადგან გვინდა, არჩევნების გზით შევცვალოთ ხელისუფლება. ხალხის განწყობა ხელისუფლებისთვის სავალალოა – 10-დან 9 კაცი რევოლუციას უჭერს მხარს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ გვინდა, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შევცვალოთ, მაგრამ, თუ გაყალბებას აირჩევს „ოცნება“, ხალხს ველარც ოპოზიცია შეაკავებს და რევოლუცია მოხდება.

შუშის სასახლის გადატრიალებასა და ივანიშვილისთვის ქონების წართმევას არ ვაპირებთ, მაგრამ ხელისუფლებას მისი კლანჭებიდან გავათავისუფლებთ.

***– ამბობთ, რომ 10-დან 9 კაცი რევოლუციას ითხოვს, რომ ხელისუფლებამ ზუგდიდში არჩევნები გააყალბა. ამის მიუხედავად, ხალხი ქუჩაში არ გამოსულა.***

– ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხალხი უსამართლობას ეგუება, 19 მაისს ჩატარდა შუალედური არჩევნები. საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში სულ სხვანაირად იქნება საქმე.

# სუსმა თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, ქალაქ თბილისის მერიის შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ავტობუსების ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და მოძრაობის ორგანიზების სამსახურის ინსპექტორი გიორგი გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი გ. საქართველოს მოქალაქეს ჰპირდებოდა შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ კონდუქტორის თანამდებობაზე დანიშვნას, რის სანაცვლოდაც მოსთხოვა და ეტაპობრივად გამოართვა 700 ლარი.

გამოძიება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ქაცარავა: „აზერბაიჯანული მხარე ცდილობს, წაგვართვას ტერიტორიები“

ნონა ცაბაძე

დავითგარეჯაში არსებულ სიტუაციაზე „ახალ თაობას“ **დავით ქაცარავა** ესაუბრება.

***– ბატონო დავით, რა სიტუაციაა ამჟამად დავითგარეჯაში?***

– აზერბაიჯანული მხარე ინტენსიურად აგრძელებს გზის გაყვანის სამუშაოებს. ფაქტობრივად, არ ჩერდება არც ერთი წუთით სამუშაოები. რომ გავზომეთ მანძილი, ამ ორ დღეში ერთი კილომეტრი აქვთ გავლებული და დაახლოებით კილომეტრამდე რჩება, ჩიჩხიტურის ტაძრამდე რომ გაიყვანონ გზა. რაც შეეხება დანარჩენ სიტუაციას, აქ მობილიზებული არიან მესაზღვრეები, უზრუნველყოფენ იმას, რომ ვერც ჩიჩხიტურის ტაძარში ვერ შევდივართ და ვერც უდაბნოს მონასტერში.

5 მაისამდე არსებული სიტუაცია აღდგა, ოღონდ ცუდი კუთხით.

***– რას გულისხმობთ?***

– აზერბაიჯანელებმა დაგვიკეტეს მაშინ უდაბნოს მონასტერთან მისასვლელი ბილიკი, ხოლო ჩიჩხიტური 2007 წლიდან იყო დაკეტილი. იგივე მეორდება 16 მაისიდან მოყოლებული. ჩვენ რეალურად მესაზღვრეები გვთხოვდნენ, რომ გვეცლია სადელიმიტაციო კომისიისთვის მუშაობა, მაგრამ რეალობა იმგვარია, რომ ჩვენ უნდა დავაცადოთ, აზერბაიჯანელები კი აკეთებენ გზას და მოიწევენ წინ, არ ელოდებიან ამ დელიმიტაციის კომისიის მუშაობის არანაირ შედეგს.

ეს არამართებული საქციელია აზერბაიჯანული მხარის მხრიდან, ეს ნიშნავს სიტუაციის ესკალაციას. აზერბაიჯანული მხარე ძალიან არამეგობრულად იქცევა და მტრობის ელემენტები შემოაქვს დავითგარეჯას კომპლექსში.

***– ასე რატომ გამწვავდა სიტუაცია?***

– ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ აზერბაიჯანულ მხარეს შეიცვალა კომისიის თავმჯდომარე. ეს მოხდა მიმდინარე წლის 5 აპრილს და დაინიშნა გენერალი, რომელიც საკმაოდ ხისტი მიდგომებით არის ცნობილი, რომელიც არც მალავს ამ ყველაფერს და რუსეთთან არის ძალიან ახლო კავშირში. შესაბამისად, უკვე ამ გენერლის დანიშვნას უკავშირდება ეს სიხისტე, კომპრომისებზე წაუსვლელობა და ასე შემდეგ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი. რასაკვირველია, მთავარი მიზეზი ეს არ იქნება.



***– რას აკეთებს ამ დროს ჩვენი ხელისუფლება?***

– ჩვენი ხელისუფლება ძალიან დახურულ რეჟიმში მუშაობს, არაფერს გვეუბნება, საზოგადოებასთან არ გამოდის კონტაქტზე. ვისმენთ საგარეო საქმეთა მინისტრის არაადეკვატურ განცხადებას, რომ თურმე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ინფორმაცია შეიტყო მედიის საშუალებით, ვგულისხმობ აზერბაიჯანული მხარის მიერ დაწყებულ სამუშაოებს.

სიტუაცია ძალიან არაჯანსაღია. ჩვენ კვლავ დათმობით პოზიციებში ვართ. მზადებაა იმისთვის, რომ მოხდეს აზერბაიჯანული მხარისთვის ბევრი რამის დათმობა. საზოგადოებამ ამის უფლება არც აზერბაიჯანელებს უნდა მისცეს და არც – ჩვენს ხელისუფლებას.

***– თქვენი ორგანიზაცია პატრულირებას ახორციელებს დავითგარეჯას ტერიტორიაზე. გაბრალებენ, რომ ამან პროვოკაციული ხასიათი შეიძინა.***

– ნამდვილად ვერ დავაბრალებ ჩვენს მოქმედებებს სიტუაციის რაიმე გამძაფრებას, იმიტომ, რომ გამძაფრებული ჩვენი პატრულირების დაწყებამდე იყო. შეგახსენებთ, რომ სანამ ჩვენ დავიწყებდით პატრულირებას, მანამდე დაგვიკეტეს უდაბნოს მონასტერთან მისასვლელი ბილიკები. ჩიჩხიტურის მონასტერზე აღარც მაქვს საუბარი, ფაქტობრივად, 2007-დან იყო ეს წართმეული და, როდესაც ჩვენი საზოგადოება მივიდა, ამის შემდეგ გაიხსნა, როგორც უდაბნოსთან მისასვლელი ბილიკები, ასევე ჩიჩხიტურის 12-წლიანი ჩაკეტილი მონასტერი. რაც შეეხება ჩვენს პატრულირებას, შეიძლება, ეს ჟღერდეს გასამხედროებულად, მაგრამ ეს აბსოლუტურად მშვიდობიანი მონიტორინგია.

***– რა ტერიტორიაზე მოძრაობთ?***

– ვმოძრაობთ იქ, სადაც მოძრაობენ ტურისტები. თუ ჩვენმა მოძრაობამ ტურისტულ ბილიკებზე გამოიწვია ასეთი შედეგი, მაშინ მე ძალიან მიკვირს აზერბაიჯანული მხარის და მათიც, ვინც ამას გვაბრალებს. მერწმუნეთ, პატრულირება არაფერ შუაშია, ამის ესკალაციის სურვილი აშკარად აზერბაიჯანულ მხარეს არის. ალბათ ეს ხდება იმიტომ, რომ აზერბაიჯანული მხარე გეგმავს, წაგვართვას დავითგარეჯას საკმაოდ სოლიდური ნაწილი.



***– ხელისუფლება რეალურად არ ფლობს ინფორმაციას, თუ არ უნდათ, რომ იცოდნენ, რა ხდება დავითგარეჯასთან დაკავშირებით?***

– მე მგონი, საზოგადოებას ჰქონდა საშუალება, მოესმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, რომელიც თურმე იგებს მასმედიის საშუალებით იმ ინფორმაციას, რომ აზერბაიჯანელები მუშაობენ და გაჰყავთ ჩიჩხიტურის მიმართულებით იმ ზონაში, რომელიც ჯერ განსაზღვრული არ არის.

თუ დავეყრდნობით დოკუმენტებს, რომელიც ქართულ მხარეს გააჩნია, შესაძლოა, იმ გზის საკმაოდ დიდი ნაწილიც კი მოხვდეს ჩვენ მხარეს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე გამოიჩენს პრინციპულობას და არ დათმობს თავის ძლიერ პოზიციებს.

როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი საუბრობს იმაზე, რომ იგი ამის შესახებ იგებს მხოლოდ მედიის საშუალებით, ის ძალიან აცდენილია რეალობას. ან მისი თანამშრომლები უმალავენ ინფორმაციას ამის თაობაზე, ან თავად არ ინტერესდება შექმნილი სიტუაციით.

ჩვენ თუ დავინახეთ ეს სამუშაოები, მესაზღვრეებს ჩვენზე ორჯერ სწრაფად უნდა დაენახათ და დაინახეს კიდეც ეს პროცესი. თვალყურს ადევნებდნენ მშვიდად, წყნარად და ეს ინფორმაცია გააჩნდა ჩვენს ხელისუფლებას.

ასე რომ, ეს არის აბსოლუტური ტყუილი, რომ მხოლოდ ტელევიზიით იგებს საგარეო საქმეთა მინისტრი ამ ინფორმაციას, ან სულაც ჩვენ გვატყუებს და თვლის, რომ ანალიზის უნარი არ გაგვაჩნია.

***– რამდენად ელოდებით სიტუაციის გამწვავებას ან, პირიქით, სტაბილიზაციას?***

– ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე წინაპირობას, რომ ამ სიტუაციის დეესკალაცია მოხდეს, იმიტომ, რომ ინფორმაცია არ გვაქვს. ის ინფორმაცია, რომელიც ზედაპირზე დევს, მხოლოდ დაძაბვის წინაპირობას ქმნის. მოგახსენებთ, რატომაც, იმიტომ, რომ ჩვენი კომისია არაფერს გვეუბნება, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება.

აზერბაიჯანული მხარე ძალიან აქტიურად მუშაობს, გზის გაყვანის კუთხითაც, პროპაგანდის კუთხითაც. ჩვენი ხელისუფლება კი ცდილობს, არ გააღიზიანოს აზერბაიჯანული მხარე, რომელიც ცდილობს, წაგვართვას ტერიტორიები და ქართველებს უკრძალავენ იმ ტერიტორიაზე მისვლას, რომელიც ჩვენია, რომელიც აზერბაიჯანული რუკებითაც კი ჩვენ გვეკუთვნის. ეს ყველაფერი კი არ გვაძლევს იმის საბაბს, ვიფიქროთ, რომ სიტუაცია მარტივად განიმუხტება.

# გიორგი კახიანი: „ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი შანსი არ აქვთ“

## „მთაწმინდაზე მეორე ტურში მეტი მუშაობა დაგვჭირდება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი კახიანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გიორგი, რატომ გახდა საჭირო მთაწმინდის არჩევნებზე მეორე ტური, თქვენ რით ხსნით ამას?***

– მე ვფიქრობ, რომ ეს განპირობებული იყო ამომრჩევლის პასიურობით. როგორც ჩანს, შუალედური საპარლამენტო არჩევნების მიმართ მთაწმინდელების ინტერესი ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე მუნიციპალიტეტებში მერის არჩევნები ადგილობრივი ამომრჩევლებისთვის.

ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი და ეს შედეგზეც აისახა. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ყველა ჩვენი ამომრჩევლის საარჩევნო უბნებთან მიყვანა და ამან დააყენა მეორე ტურის აუცილებლობა. შეიძლება, ჩვენი მხრიდან მეტი აქტიურობა იყო საჭირო წინასაარჩევნო პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ლადო კახაძეს საკმაოდ დატვირთული წინასაარჩევნო კამპანია ჰქონდა. მეც ვიღებდი რამდენიმე შეხვედრაში მონაწილეობას, მაგრამ მეორე ტურში ალბათ მეტი აქტიურობა იქნება საჭირო და ასეც იქნება.

პირველ ტურში ჩვენმა კანდიდატმა უფრო მეტი ხმა აიღო, მაგრამ მეორე ტურში ბევრად უფრო მეტი მუშაობა იქნება ჩვენი მხრიდან.

***– არ ფიქრობთ, რომ შალვა შავგულიძე ძლიერი კანდიდატია და ამანაც განაპირობა?***

– შალვა შავგულიძეს მხარი „ევროპულმა საქართველომ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ დაუჭირეს. ამდენად, ის ხმები, რაც მან მიიღო, ძირითადად ამ ორი პარტიის აქტივის ხმებია. თავად მას და მის პარტიას მაღალი მხარდაჭერა არ აქვს. ეს აჩვენა წინასაპარლამენტო არჩევნებმა, როდესაც ის კენჭს იყრიდა საბურთალოზე მაჟორიტარულ ოლქში. ასევე, მისმა პარტიამ, თავისუფალმა დემოკრატებმა, საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს. ამდენად, მას ჰქონდა მოლოდინი, რომ ამ ალიანსით ის უფრო მეტ ხმას აიღებდა, ასევე, მიიღებდა ნაციონალური მოძრაობის ხმებსაც და ასეც მოხდა. მან მართლაც მიიღო ამ პარტიების ამომრჩევლის ხმები.

***– ზუგდიდში მოვლენათა განვითარებაზე რას იტყვით? იქ რთული არჩევნები იყო, თქვენ რით ხსნით ამას?***

– მე კარგად მესმოდა, რომ ზუგდიდში მარტივი არჩევნები არ იქნებოდა, თუმცა, დარწმუნებული ვიყავი, რომ პირველივე ტურში გავიმარჯვებდით.

***– რატომ იყავით დარწმუნებული?***

– მე ვიცოდი ზუგდიდში ამომრჩევლის განწყობების შესახებ, თან ჩვენ ძალიან კარგი კანდიდატი გვყავდა და ძალიან აქტიური კამპანია გვქონდა.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის დამოკიდებულებას ზოგადად და იმ განცხადებებს, რომლებიც მათი კანდიდატის მხრიდან გაკეთდა არჩევნების დასრულებისთანავე, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამხელს და ახასიათებს ამ პოლიტიკურ გუნდს.



ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მხრიდან დესტრუქციული ქმედებებისკენ მოწოდებები, პირდაპირ რევოლუციური სცენარებისკენ მოწოდებები, ბოლოს ასეთი ტერმინიც გაისმა მათ რიტორიკაში – „ადუღებები“ – პირდაპირ ამხელს ნაციონალურ მოძრაობას. ეს მათთვის პირდაპირ დამახასიათებელი ნიშაა, რადგან თავიანთი რეაბილიტაციის შესაძლებლობას სტაბილურ გარემოში ვერ ხედავენ. მათ სჭირდებათ პოლიტიკური დაძაბულობა, ქაოსი, არეულობა, რადგან სწორედ ამაში ხედავენ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს.

ეს არის უსუსური მცდელობა.

2012 წლიდან არაერთხელ იყო ნაციონალური მოძრაობის მხრიდან მსგავსი მცდელობა, მაგრამ ყოველი ასეთი მცდელობა მათთვისვე ძალიან დიდი ნეგატივით მთავრდებოდა. ამ ნეგატივს მათთვის პოლიტიკური შედეგი არ მოუტანია. მათ ამ ხმაურიან ანონსებს თავიანთივე ამომრჩევლის ნიჰილისტური განწყობები და იმედგაცრუებები მოჰყვებოდა.

***– ეს ყველაფერი, მიხეილ სააკაშვილის ნარატივი, რომ ის ჩამოდის და ა.შ. ხომ არ ასხამს თქვენს წისქვილზე წყალს?***

– გულწრფელად რომ გითხრათ, მათი ეს არასწორი პოლიტიკური სტრატეგია ჩვენ გვაწყობს, რადგან მათ ამ პოლიტიკას მათთვისვე შედეგი არ მოაქვს, მეტიც, უარყოფითი შედეგი მოაქვს.

სახელისუფლებო გუნდისთვის ეს კარგი უნდა იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ხომ წარმოაჩენს ამ გუნდს, როგორც დესტრუქციულ ძალას და ნაციონალური მოძრაობის ზრახვებს, როგორც დესტრუქციული ძალის ზრახვებს.

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ მე მომწონს ეს თუ არა, ნაციონალური მოძრაობა პირველი ოპოზიციური ძალაა და ეს ფაქტია, ამიტომ მისი ასეთი პოზიციები, საბოლოო ჯამში, ქვეყნის განვითარებისთვის არ არის სასურველი, მაგრამ ჩვენ, როგორც ხელისუფლება, ამ თვალსაზრისით ვერაფერს შევცვლით.

ეს არის ამომრჩევლის გადასაწყვეტი. რა თქმა უნდა, მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, კი მირჩევნია, კონსტრუქციული ოპოზიცია გვყავდეს, მაგრამ ეს არის მოცემულობა, რაც არ არის მისაღები ქვეყნის განვითარებისთვის, ამიტომ მე ეს არ მომწონს.

ნაციონალური მოძრაობა სრულიად ღიად და აშკარად დესტრუქციაზეა ორიენტირებული. ამაზე უკვე ღიად და დაუფარავად საუბრობენ. ნახეთ მიხეილ სააკაშვილის მოწოდებები, რომელიც პირდაპირ დაუმორჩილებლობისკენ, ძალადობისკენ და რევოლუციისკენ მოუწოდებს.

***– თუმცა, გუნდში ემიჯნებიან ამ მოწოდებებს, ნიკა მელიას პოზიცია საპირისპიროა. როგორ ფიქრობთ, გუნდში არსებული ეს პროცესები კიდევ ერთხელ გაყოფს ნაციონალურ მოძრაობას?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ის პროცესები, რომლებიც თავის დროზე მოხდა და რამაც „ევროპული საქართველოს“ გამოყოფა გამოიწვია, კიდევ განმეორდეს.

მაშინდელი არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის რადიკალურ ფრთას სურდა დესტრუქციების გზით წასვლა და არჩევნების შედეგების არაღიარება – მიტინგები, არეულობა და ქაოსი, მეორე ნაწილმა კი თქვა, რომ ეს მათთვის მიუღებელია და გაემიჯნნენ.

დღესაც ეს სურათი გვაქვს. გუნდი გაყოფილია. ასეთი დაპირისპირების შესახებ აქამდეც იყო ცნობილი, მაგრამ ამაზე ღიად არ საუბრობდნენ. ახლა უკვე ღიად და საჯაროდ გამოვიდა ეს ყველაფერი. დანარჩენი, როგორ დასრულდება ეს პროცესი, სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს. მათ იმდენად მძიმე პოლიტიკური ტვირთი ადევთ ზურგზე, რომ ვერ შეძლებენ ამ ტვირთისგან განთავისუფლებას.

***– ვერასდროს მობრუნდებიან ხელისუფლებაში?***

– თუ იმას გავითვალისწინებთ, რამდენად არის პოლიტიკურად დამძიმებული ნაციონალური მოძრაობა, მით უმეტეს, მათ ქმედებებში არ ჩანს არანაირი სინანული, ვერც ვერანაირი მცდელობა, რომ თავი გამოიყვანონ ამ მდგომარეობიდან, ამის არანაირი შანსი არ აქვთ.

დღესაც ეს გუნდი ისეთივე რადიკალური და ისეთივე აგრესიულია, როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო. სწორედ ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ მათ პოლიტიკური რეაბილიტაციისა და ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი შანსი არ აქვთ.

# შალვა ნათელაშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა დავითგარეჯი ილხამ ალიევს მიჰყიდა“

შორენა მარსაგიშვილი



დავითგარეჯის გარშემო ვითარება უკიდურესად დაიძაბა. სანამ ჩვენი ხელისუფლება ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებს, აზერბაიჯანულ მხარეს ქართულ მიწაზე სამანქანე გზა გაჰყავს. ამის გარდა, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა გადაკეტეს გზა და ქართველებს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც კი არ უშვებენ.

საქართველოს ხელისუფლების დუმილი, ბუნებრივია, ბევრ ეჭვს აჩენს. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამტკიცებს, რომ ივანიშვილმა დავითგარეჯი ალიევს მიჰყიდა. ეს სკანდალური განცხადება მან საგანგებო პრესკონფერენციაზე გააკეთა.

შალვა ნათელაშვილი მოითხოვს, რომ შეწყდეს ერთობლივი კომისიის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებები საზღვრის დელიმიტაციასთან დაკავშირებით მანამდე, ვიდრე პროცესებში ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ჩაერთვება.

— ახალი ეპოქის სერგო ორჯონიკიძემ, ბიძინა ივანიშვილმა, დავითგარეჯი მიჰყიდა თავის ბიზნესპარტნიორ აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ოლიგარქ ილჰამ ალიევს. გაცხარებული ტემპებით მიდის მუშაობა, რათა ეს ქართული უძველესი სიწმინდე საბოლოოდ იქნეს ოკუპირებული.

მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ დაიშალოს ე.წ. მოღალატეობრივი დელიმიტაციის კომისია, შეწყდეს ყოველგვარი მოლაპარაკებები, სანამ ფორმატში არ ჩაერთვება ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. შესაბამისი წერილები გაგზავნილია, — აცხადებს ნათელაშვილი.

დავითგარეჯის გარშემო მიმდინარე პროცესებს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელიც გამოეხმაურა.

დეკანოზმა ანდრია ჯალმაიძემ სპეციალური განცხადება სოციალური ქსელით გაავრცელა.

— სანამ ცნობილი არ არის აზერბაიჯანის მხარესთან მოლაპარაკების შედეგები, მნიშვნელოვანია სიმშვიდის შენარჩუნება.

საქართველოს საპატრიარქო მუდმივად ადევნებს თვალს პროცესს და ველოდებით ბატონი დავით ზალკალიანისა და უშუალოდ პრემიერ-მინისტრის ჩართულობით მიმდინარე დიალოგის რეზულტატს. როგორც ადრევე იყო საპატრიარქოს განცხადებაში ნათქვამი, მნიშვნელოვანია, მკაცრად იყოს დაცული ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ინტერესები, — წერს ჯალმაიძე.

უფრო რადიკალურია ქორეპისკოპოსი იაკობი. ის დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში ჩასვლას აპირებს და აცხადებს, რომ თუ რომელიმე უწყება მას გადაადგილების უფლებას შეუზღუდავს, ის სამინისტრო აღარ დარჩება:

— ამ დღეებში მე ჩამოვალ და მე ავალ, გადავალ და, ვინც დამიდგება წინ, ის სამინისტრო აღარ დარჩება. წყნარად უნდა ჩავიდეთ, ცივილიზებული ადამიანები ვართ. ხომ იცით, როგორ არის, როგორი ტერიტორიაა, ალიევიც აღიარებს, რომ ჩვენი ტერიტორიაა. სახელმწიფო მოქმედებს და ჩვენ ვენდობით, რომ სახელმწიფო არ გაყიდის ჩვენს ურთიერთობას. მე ისიც მჯერა, რომ აზერბაიჯანი იმას არ იზამს, რომ ჩვენი რაღაც დააზიანოს. დროებით დაველოდოთ და ცივილიზებულს დაველოდოთ, თუ არადა, ჩვენ დამთმობი არ ვართ არაფრის, — განაცხადა რუსთავი 2-თან საუბარში მეუფე იაკობმა.



საერო ხელისუფლება კი მშვიდად უყურებს ამ ყველაფერს. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე ამბობს, რომ არც ერთი კომპრომისი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული, არ განიხილება.

— ყველა საკითხი, მათ შორის ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები, მანდ იქნება განხილული და, ბუნებრივია, ჩვენ ამ კომისიის შედეგებს ველოდებით. ქართული მხარის განწყობა ნათელია, რომ ბუნებრივია, არანაირ კომპრომისზე, ისეთზე, რომელიც გულისხმობს ჩვენი ეროვნული ინტერესების უგულებელყოფას, არც განიხილება თეორიაში, — განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

# კორნელი კაკაჩია: „ხალხი მზად არ არის, რომ ხელისუფლება რევოლუციით შეცვალოს“

## „თუ 2020 წლის არჩევნები მასობრივად გაყალბდა, შესაძლოა, ამან ხალხში მასობრივი მღელვარება გამოიწვიოს“

იაგო ნაცვლიშვილი

გაერთიანებული ოპოზიცია შუალედური არჩევნების შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს და მათი ნაწილი რევოლუციურ სულისკვეთებაზე საუბრობს. გეგმავენ რეგიონების შემოვლასა და საზოგადოების რევოლუციურად დამუხტვას. რევოლუციურ განწყობაზე საუბრობს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც მხარდამჭერებს ამის აუცილებლობაში ტელეეთერისა თუ სოციალური ქსელების საშუალებით არწმუნებს.

არის თუ არა ქვეყანაში რევოლუციური განწყობა და რამ შეიძლება, ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს:

***— გვესმის ოპოზიციაში განცხადებები რევოლუციურ სცენარსა თუ სულისკვეთებაზე. როგორ უყურებთ ამ პროცესს? რამდენად არის ქვეყანაში რევოლუციური განწყობა?***

— ბუნებრივია, მოსახლეობაში არის გარკვეული უკმაყოფილება, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან და მათ შორის პოლიტიკურ საკითხებთანაც არსებობს, მაგრამ ეს აუცილებლად არ ითარგმნება რევოლუციურ განწყობებში. ხალხი მზად არ არის, რომ რევოლუციური სცენარით შეცვალოს ხელისუფლება. მიუხედავად შექმნილი სიდუხჭირისა, მაინც ევოლუციური გზით სვლა ურჩევნია და არჩევნების გზით ურჩევნია სიარული — იქნება ეს ხელისუფლების შეცვლა თუ პარლამენტში ძალთა ბალანსის შეცვლა.

აქედან გამომდინარე, ის მუხტი, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ რევოლუციური მუხტი გამოიყენოს, რეალურად არ არსებობს. ასეთი განცხადებები ჩვენ გვახსოვს შარშანდელი საპრეზიდენტო არჩევნებიდან თუ წინა არჩევნებიდან. აქედან ჩანს, რომ ქართველი ამომრჩეველი რადიკალიზმის მომხრე არ არის.

***— რა გამოდის, ნაციონალური მოძრაობა ამ გზით ფონს ვერ გავა?***

— სავარაუდოდ, ეს არ გამოვა. იქიდან გამომდინარე, რომ ამაზე მოთხოვნა დღეს არ არის. მით უმეტეს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერის მხრიდან თუ ეს მოწოდებაა. შეიძლება, საპარლამენტო არჩევნების დროს რაღაც ისეთი მოხდეს, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ სააკაშვილისადმი მიუღებლობა არსებობს ელექტორატის გარკვეულ ნაწილში, ამიტომ მის მიერ მოწოდებული ეს მოწოდებები კონტრ-პროდუქტიულია. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო აცხრობს იმ განწყობებს, რაც, შესაძლოა, ამომრჩევლის ნაწილს კიდეც ჰქონდეს, მხედველობაში მაქვს რევოლუციური განწყობები. მისი მხრიდან მოწოდებული ასეთი მოწოდებები საპირისპირო ეფექტს იძლევა.

***— ხომ არ გგონიათ, რომ ნიკა მელიას კარგად ესმის საზოგადოების პულსი და ამან განაპირობა არჩევნების ღამეს მისი განცხადება, რამაც აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა გაერთიანებულ ოპოზიციასა თუ მის მხარდამჭერებში?***

— რა თქმა უნდა. ეს დიდი ხანია შეინიშნება ნაციონალურ მოძრაობაში. მარტო მელიას კი არა და, როგორც ჩანს, არის ლიდერების ნაწილი, რომლებიც უფრო საღად აზროვნებენ და საღად აფასებენ ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ბუნებრივია, ისინი ადგილზე არიან და უფრო კარგად ხედავენ რეალობას. ამიტომ ცდილობენ, რომ რაღაცნაირად დააბალანსო სააკაშვილის აგრესიული რიტორიკა. მაგრამ, როგორც ჩანს მთლად წარმატებით არ გამოსდით ხოლმე.

***— რაც შეეხება რევოლუციურ სულისკვეთებას, რა უნდა მოხდეს, რა არის ისეთი, რამაც შესაძლოა ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს რადიკალური მოთხოვნებით?***



— ეს შეიძლება იყოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, თუ იქ მოხდება მასობრივი გაყალბებები და ხელისუფლებამ არასამართლიანი გზებით გაიმარჯვა. ამას შეიძლება მოჰყვეს მასობრივი მღელვარება, მაგრამ 2020 წლამდე საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი. შეიძლება, პირიქითაც მოხდეს, სრულიად მოულოდნელად კრიზისი შეიქმნას, როგორც თავის დროზე რამდენჯერმე მოხდა და, თუ ხელისუფლებამ მას ვერ გაართვა თავი... რაღაც ქმედებები განახორციელა დემონსტრანტების მიმართ, შეიძლება, ამანაც დაძაბოს სიტუაცია. დაახლოებით ასეთი სურათი შექმნის ამას, მაგრამ წინასწარ ამის განჭვრეტა, რა და როგორ მოხდება, აჰყვება მას ხალხი თუ არა, ეს ცოტა რთული ამბავია.

***— სოციალურ პროტესტს თუ შეუძლია რაღაც გარკვეული გავლენის მოხდენა?***

— სოციალურ პროტესტს შეუძლია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ქართველი საზოგადოება სოციალური პროტესტის მიმართ თითქმის მუნჯია, დიდად არ რეაგირებს ამაზე, თუ არ ჩავთვლით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ, მაგრამ ისინიც კი ვერ ახერხებენ ამ სოციალური მუხტით საზოგადოების დამუხტვას. საკმაოდ დიდი ხანია, ასეა.

***— თქვენი შეფასებით, ასე რატომ ხდება?***

— ალბათ პოლიტიკური კულტურის ნაწილია. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ძალიან უჭირთ ეს. არის მოსახლეობის სეგმენტი, რომელიც ამას აკეთებს, მაგალითად, მაღაროელები, კონკრეტული მუშაკები, მაგრამ ეს ეპიზოდურ ხასიათს იღებს და არ ხდება ისე, რომ ერთიანად შეიკრას საპროტესტო მოძრაობა, რომელიც ხელისუფლებას გარკვეულ პრობლემას შეუქმნის.

***— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობა 2020 წლის არჩევნებისთვის? ბოკერიამ გააჟღერა რამდენიმე გვარი. უფრო სწორად, მან სურვილი გამოთქვა მის ბლოკში ალასანიასა და უსუფაშვილის ხილვისა. რამდენად რეალურად გესახებათ ასეთი ერთობა?***

— მე მგონი, ეს აუცილებელია. დღევანდელ პოლიტიკურ პარტიებს დღევანდელი მოცემულობიდან ხელისუფლების შეცვლის შესაძლებლობა არ აქვთ. ისინი ახლოს არიან როგორც მაჟორიტარულ ოლქებში, ისე ზოგადად ახლოს არიან ხელისუფლების წარმომადგენლებთან ციფრებით, მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რომ 2020 წლის არჩევნებში გაიმარჯვონ. აქედან გამომდინარე, ასეთი არასტანდარტული ალიანსები აუცილებელია. გარდა ამისა, მათ სჭირდებათ რაღაც სიახლე, ანუ ისინი ვერ ახერხებენ, იმაზე მეტი ხმა მიიღონ, რომელსაც ისინი ბოლო პერიოდში იღებენ. იმისათვის, რომ ცოტა მეტი ხმა მიიღონ, უნდა შექმნან ბლოკი ან ალიანსი იმ ადამიანებთან, რომლებიც ან მანამდე არ იყვნენ პოლიტიკაში ჩართულნი, ანუ მათთან ვისაც გარკვეული სოციალური კაპიტალი გააჩნიათ. შავგულიძის მაგალითი ამის ცალსახა მაგალითია. ისეთი ადამიანებთან უნდა გაერთიანდნენ, რომლებიც საზოგადოებისთვის მისაღებია — მათი მორალური თუ პოლიტიკური ფასეულობებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში მათ შეიძლება გარკვეული შანსი ჰქონდეთ. ამან, შესაძლოა, გარკვეული როლი ითამაშოს 2020 წლის არჩევნებისთვის.

***— ანუ გარკვეული ავტორიტეტის მქონე ადამიანები უნდა ჩაერთონ?***

— დიახ. ადამიანები, რომლის გამოც ხალხი არჩევნებზე მივა, ადამიანები, რომლებიც ფლობენ გარკვეულ კაპიტალს, იქნება ეს ცნობადობა თუ სხვა თვისება ამომრჩევლის თვალში. ასეთი ადამიანები რომ მოაგროვოს პარტიამ თუნდაც რამდენიმე, ეს სხვა ტიპის ამომრჩეველს მოიზიდავს ამ პარტიებისთვის, რომლებიც ახლა ამ პარტიებს არ აძლევენ ხმას სხვადასხვა მიზეზის გამო.

***— როდის იქნება ყველაზე ეფექტური, რომ ამაზე მუშაობა დაიწყოს?***

— ალბათ 2020 წლისთვის საარჩევნო კამპანია როგორც კი დაიწყება, ყველა პარტია ეცდება, დაიწყოს „ნადირობა“ იმ ადამიანებზე, რომლებიც გააძლიერებენ მათ ალიანსებსა თუ ბლოკებს. მმართველ პარტიას ეს პრაქტიკულად დაწყებული აქვს და ალბათ ოპოზიციურ პარტიებსაც მოუწევთ რაღაც გადალაგება და გარკვეულწილად ახალი კოალიციების შექმნა, რომელიც უფრო იქითკენ იქნება მიმართული, რომ უფრო მეტი ხმა მოაგროვონ და 2020 წლის არჩევნებზე ყველა პარტიამ გააუმჯობესოს საკუთარი შედეგები, რომელიც მათ ჰქონდათ წინა არჩევნების პერიოდში.

***— ანუ ამ პროცესს შედარებით მოგვიანებით ელოდებით და არა უახლოეს პერიოდში?***

— უახლოეს პერიოდში ნამდვილად არ უნდა ველოდოთ, იმიტომ, რომ ჯერ ეს ხალხია საპოვნი, მერე, დათანხმდებიან თუ არა, მერე რა მდგომარეობა იქნება იმ პერიოდისთვის, ის პოლიტიკური სუბიექტები იმ პერიოდისთვის რა რეიტინგით მიაღწევენ, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ასე რომ, ამას წინასწარ ვერ განჭვრეტ.

# მიხეილ დვალიშვილი პოლიციამ დაკითხა

მოკლული 7 თვის ჩვილის მამა, მიხეილ დვალიშვილი, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში დაიკითხა.

დაკითხვა 24 მაისს რამდენიმე საათი გაგრძელდა.

20 წლის ახალგაზრდა იმ საბედისწერო ღამის დეტალებზე პასუხობდა გამომძიებლების შეკითხვებს, როდესაც საკუთარი შვილი გარდაცვლილი იპოვა, თუმცა გამოძიება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმით არის დაინტერესებული, რომელიც ბავშვის დედასთან ქორწინებას ეხება.

ქორწინების დროს დვალიშვილის მეუღლე არასრულწლოვანი იყო. არ არის გამორიცხული, მომავალში პოლიციამ ბავშვის მამა არასრულწლოვანთან სქესობრივ კავშირში დაადანაშაულოს.

— რა თქმა უნდა, ვითანამშრომლე გამომძიებელთან, დაზარალებულად ვიგრძენი თავი, ვითანამშრომლებ კიდევაც, რა თქმა უნდა. არანაირი არაფერი არ ყოფილა, არც დარღვევა ოჯახში, არც კონფლიქტი და არანაირი არაფერი, უბრალოდ, გვყავდა სტუმრები და ჩვეულებრივად იყო, ნორმალურ ოჯახს როგორც შეეფერება, მაგრამ საღამოს ისეთი ტრაგედია იყო, ისეთი რამ მოხდა, რომ დაგვლუპა სულ ყველა, თუ გადავიტანთ ამას, ჯერჯერობით, არც ვიცით, — განაცხადა პოლიციიდან გამოსულმა მიხეილ დვალიშვილმა.

# მამუკა გვაძაბია: „მოსკოვს ბჟანიას გაპრეზიდენტება არ აწყობს“

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი **მამუკა გვაძაბია** „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– აფხაზ სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ბჟანია, რომელიც გარკვეულ პერიოდში ჟენევის მოლაპარაკებებშიც მონაწილეობდა ქართულ და რუსულ მხარეებთან ერთად, მოსკოვში მოწამლეს და ასევე მოსკოვში მკურნალობენ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?***

– მე ყოველთვის მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც აფხაზეთში ხდება, გახსოვთ, ბალაფში რომ გარდაიცვალა, „ახალი თაობის“ მეშვეობით გავაკეთე განცხადება და ვთქვი, რომ ნათესავებისაგან მქონდა ინფორმაცია, რომ ის მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გაგუდეს. ბალაფშის მკვლელობა უკავშირდებოდა მის განცხადებებს თურქეთში ვიზიტის დროს და სხვაგანაც. ბალაფში მაშინ რაღაც ისეთ საკითხებზე ალაპარაკდა, რომელიც არ აწყობდა მოსკოვს. ეს კაცი ბოლომდე მართული არ აღმოჩნდა. ამიტომ მოსკოვში აუტკივარი თავი არ აიტკივეს, მოკლეს და გზიდან ჩამოიშორეს.

***– დღეს რა სიტუაციაა?***

– აფხაზეთში ყოველთვის გამოჩნდებიან და გამოჩნდნენ ადამიანები (ჩემს ნათქვამს გამგები საზოგადოება გაიგებს), რომლებიც თვითმყოფადობას მეტ-ნაკლებად აწვებიან (ჟარგონის ენაზე თუ ვიტყვით). თვითმყოფადობა საქართველოსთან დაკავშირებით, გასაგებია, რაც ხდება. აფხაზეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტში საქართველოსთან თვითმყოფადობის საკითხი არ დგას. რუსეთისაგან დამოუკიდებელი თვითმყოფადობა და ამ მხრივ ცოტა გაფაჩუნებაც კი კრემლს არ აწყობს.

***– მაინც რის ეშინია ამხელა რუსეთს?***

– რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში გამოჩენილ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებში ყოველთვის ხედავს პრობლემას. ვაითუ მომავალში საქართველოსკენ გაიხედონ და იფიქრონ ერთიანი სახელმწიფოს მოწყობაზე, კონფედერაციულ მოწყობაზე, რომელიც თავის დროზე განიხილებოდა.

ამიტომ დღევანდელი სიტუაცია აფხაზეთში, გარკვეულწილად, ჰგავს იმ მოვლენებს, რომელიც ხდებოდა წლების განმავლობაში ხაჯიმბამდე – ანქვაბისა და ანქვაბის პერიოდებში. უბრალოდ, აშკარად ჩანს, რომ მოსკოვი ისევ მხარს უჭერს ხაჯიმბას.

***– ამ შემთხვევაში რუსეთს რა უნდა?***

– აშკარად ჩანს, რომ მოსკოვს სურს ხაჯიმბა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად. მოვლენები ისე რომ არ განვითარდეს, რომელიც არ აწყობს მოსკოვს (როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთში განვითარდა, არჩეულ „პრეზიდენტს“ გადადგომა აიძულეს), მზადაა, წინასწარ მიიღოს ზომები, მოწამლონ ან საიქიოში გაისტუმრონ. არც ამას გამოვრიცხავ.

***– რა ბედი ელის ბჟანიას?***

– ამ სიტუაციაში რთულია თქმა, რა მოხდება, მაგრამ რუსეთის სპეცსამსახურების ხელში ძალიან სერიოზული იარაღი რომ არის როგორც მოწამვლის ან მკვლელობის, ცხადია. შეიძლება, ბოლომდე სასიკვდილოდ არ მოწამლონ, მაგრამ გარკვეულ დონემდე მაინც, რომ ჭკუა ასწავლონ. ძნელია თქმა, ამ შემთხვევაში რა დონეზეა მოწამლული და რა მოხდა, ბჟანია გააფრთხილეს, თუ მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ გადარჩა.

***– საინტერესოა, მაინც რატომ მოხდა შეტევა ბჟანიაზე.***

– მე ერთი რამ ვიცი, ბჟანია არ არის გუდაუთის კლანის წარმომადგენელი, ანუ ის არ არის უფრო რადიკალური ფრთის წარმომადგენელი. ბჟანია უფრო ოჩამჩირის კლანის (ტერიტორიულად ჩვენთან ახლოს მყოფი) წარმომადგენელია. ამიტომ, რა თქმა უნდა, მოსკოვს ბჟანიას გაპრეზიდენტება არ აწყობს და ისევ ხაჯიმბაზე დებს ფსონს.

***– ანუ მიზეზი, რის გამოც ბჟანია მოწამლეს, შეიძლება, დაკავშირებული იყოს მომავალ ე.წ. პრეზიდენტის არჩევნებთან?***

– ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ბჟანიას დღევანდელი მდგომარეობა, ანუ მოწამვლა პირდაპირ უკავშირდება ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს. ასეთი დამთხვევა არ ხდება ხოლმე – შემთხვევით მოწამვლები ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ის აქციები, რომლებიც იმართება სოხუმში ე.წ. პარლამენტთან და ოჩამჩირეში, სერიოზული სიგნალია იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც უკვე გადაწყვიტეს, ვინ უნდა იყოს აფხაზეთში დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამიტომ გასაგებია, რა მოვლენებიც ვითარდება.



***– „ამცახარა“ პროტესტს აცხადებდა ბჟანიას მოწამვლასთან დაკავშირებით და მოითხოვდა, ე.წ. არჩევნების თარიღი შემოდგომისთვის გადაედოთ. აგვისტოსთვის გადადეს, ანუ 1 თვის ვადა არის, მაგრამ ეს მოწამლული ადამიანი ამ ხნის განმავლობაში რას გააკეთებს?***

– მე ერთი რამ ვიცი, თუ რომელიმე პიროვნება მოსკოვიდან დამოუკიდებლად რაღაც პროცესებში მონაწილეობას თავის თავზე იღებს, მას სოჭში, მოსკოვში ან სხვაგან იბარებენ. ისე დაიბარეს ბჟანიაც. რაც მოუვიდათ ბალაფშსა და ანქვაბს (ბალაფში მოკლეს, ანქვაბი კი რამდენჯერმე ააფეთქეს), ის მოუვა მასაც.

გამორიცხულია, კრემლმა აუტკივარი თავი აიტკივოს და რისკზე წავიდეს და დაუშვას მათთვის არასასურველი პიროვნება დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი. შემდეგ ის მოსკოვთან შეუთანხმებელ განცხადებებს გააკეთებს საერთაშორისო არენაზე. რუსეთს თავის ატკივება არ უნდა, ამიტომ 100%-ით მათთვის სანდო პიროვნებაზე დებს ფსონს. ამ შემთხვევაში ეს არის ხაჯიმბა.

***– საინტერესო ისაა, ჟენევის შეხვედრების დროს ბჟანიამ ხომ არ დააფიქსირა თავი რუსებისთვის არასანდო პიროვნებად?***

– არ მსმენია, ბჟანიას ისეთი განცხადებები გაეკეთებინოს, რაც მოსკოვს არ აწყობდა, მაგრამ აქ სანდოობის ფაქტორია. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ის ოჩამჩირის კლანის წარმომადგენელია. კრემლი კი ყოველთვის გუდაუთის კლანზე დებს ფსონს, თანაც აფხაზეთში პოლიტიკური კულტურა ძალიან დაბალ დონეზეა.

შემიძლია ვთქვა, გვაროვნული წყობილება უფროა, ვიდრე იდეოლოგიური ნიშნით აღმოცენებული პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკური პარტიების პაექრობა, პროგრამებით პაექრობა. კლანების პაექრობა უფრო არის, კლანების პაექრობის ერთ-ერთი გამოვლინებაა ბჟანიასა (როგორც ოპოზიციის ლიდერის) და ხაჯიმბას (როგორც ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლის) დაპირისპირება და შეჯიბრება.

***– როგორც ჩანს, რუსეთი ბჟანიას მხარდამჭერ „ამცახარასაც“ არ ენდობა. მოგეხსენებათ, „ამცახარა“ ცნობილია, როგორც აქტიური დაჯგუფება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.***

– „ამცახარა“ არის რადიკალური დაჯგუფება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით არის ცნობილი.

***– მაინც რატომ არ არიან ახლა „ამცახარას“ წარმომადგენლები მიუღებელი? თქვენ კი ისაუბრეთ კლანებსა და მათ ბრძოლაზე, მაგრამ „ამცახარამ“ თავის დროზე ხომ რუსეთის საქმე გააკეთა?***

– ბევრი ფაქტი გვახსოვს ისტორიიდან და საქართველოს უახლეს ისტორიაშიც არის ფაქტები, როცა რუსეთმა ბევრი ისეთი მოიშორა, რომელმაც რუსეთის საქმე გააკეთა. რუსეთის საქმის კეთება არ ნიშნავს იმას, რომ პირს კრემლის გული სამუდამოდ მოგებული აქვს.

რუსული გადასახედიდან ახალ ძალებზე დაყრდნობით კრემლი, რუსეთი ახდენს ხოლმე კონკრეტული კლანებისადმი დამოკიდებულების რევიზიას. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის თავის ჩვეულ მოკავშირეებზე უარს ამბობს, „ამცახარას“ მომენტი არსებობს. მე ვიცი, აფხაზეთში არსებობენ პიროვნებები, რომლებიც თავის დროზე საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ, თბილისშიც არიან ნამყოფები და დღეს სხვა პოზიციის არიან.

ასეთი ადამიანები არსებობენ, მაგრამ ისინი ბევრნი არ არიან. 5-7 წლის წინ ისინი თბილისშიც იმყოფებოდნენ სამკურნალოდ. თავის დროზე საქართველოს წინაათმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ ახლა აზრი შეიცვალეს. ბოლოს და ბოლოს, სამოქალაქო ომის შემდეგ (აფხაზეთში ომს სამოქალაქო ომს არ შევადარებ, სამოქალაქო ომი კი არა, რუსეთ-საქართველოს ომი იყო) რიგდებიან. ჩვენ ვიცით მეოცე საუკუნის მაგალითები, როდესაც ერთი და იგივე ეროვნების ადამიანები ერთმანეთს ებრძოდნენ, დაიღუპნენ და ერთ სასაფლაოზე იყვნენ დასაფლავებული.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ვინც მაშინ საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა, რუსეთი ბრმად ყველას ენდობა. „ამცახარას“ სიტუაციაც ასეთია.

***– თუ არ ვცდები, სერგეი შამბა არის „ამცახარას“ ერთ-ერთი ლიდერი. მისი ბოლოდროინდელი განცხადებებიც გვახსოვს (ქართველებს მტრებად არ აღვიქვამო), რომელიც არ ესადაგებოდა რუსულ გეგმებს. ამანაც ხომ არ გამოიწვია „ამცახარასა“ და მისი ლიდერების მიმართ ნდობის დაკარგვა?***

– აფხაზები, იგივე ანქვაბი და ბჟანია წარმოშობით ხომ კოლხები, ანუ ქართველები არიან. იგივე თუნდაც შამბა და სხვები ხომ ერთი ჯიშის, მოძმე ხალხები ვართ. ჩვენი შინაგანი კულტურული მოწყობა, შინაგანი მენტალიტეტი, აზროვნება ხომ ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ სად რუსის აზროვნება და სად სოხუმელი აფხაზისა. ისინი ჩვენნაირად აზროვნებენ, მაგრამ იმპერიის იდეოლოგიურმა მანქანამ რაღაც მომენტში წყალი აამღვრია.

რუსეთის ბოლო იმპერატორს აქვს ნათქვამი, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, აფხაზებმა თქვან, რომ ქართველები არ არიან. ამას მიაღწიეს. მე რომ აფხაზი ვარ აფხაზეთიდან და ის რომ აფხაზია, ვინც არის აფხაზეთში, სხვა ჰგონია თავი. სინამდვილეში ერთი ვართ. არ მინდა, ვინმეს გული ავუჩუყო და მეც გულაჩუყებულის პოზიციიდან ვილაპარაკო, მაგრამ სიტუაცია ასეთია.

***– ინფორმაცია გავრცელდა, რომ დნმ-ის მიხედვით დღევანდელი აფხაზების 98% ქართველია.***

– დნმ-ს რომც არ ჩავეძიოთ, სოხუმში ერთი-ორი საათით დაჯექი ბაღში ან კაფეში. ვერაფერს დაინახავ განსხვავებულს, გარდა ენისა. ისინი რუსულად ლაპარაკობენ. რუსული დღევანდელ აფხაზეთში ყოფითი ენაა. გარდა ენობრივი სხვაობისა, განსხვავებას ვერაფერს შეამჩნევ. ბოლოს და ბოლოს, იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხია.

***– თუმცა, ბოლო დროის პოლიტიკოსებისაგან მომისმენია, რომ ახლა მთავარი გენეტიკა კი არა, ცნობიერებაა, ანუ აფხაზად გრძნობ თავს, ქართველად თუ რუსად.***

– ეს დღევანდელი რუსული გავლენის ბრალია, მაგრამ, იმ ადამიანების არ მიკვირს, ვინც აფხაზეთშია. ყველა ხელისუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებთან და იქ მცხოვრები ხალხის მიმართ არაადეკვატური იყო. შეიძლებოდა ძალიან ფრთხილი, მაგრამ ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. თუმცა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ ან არ გარისკა.

***– თქვენი ანალიზით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს აფხაზების მიმართ განხორციელებულ რუსულ პოლიტიკას?***

– არსებულ პირობებში აფხაზები დიდხანს ვერ შეძლებენ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. მათ სომხური დიასპორა ძალიან უტევს, ასევე – რუსეთის სპეცსამსახურები როგორც ეკლესიაში, ასევე სამოქალაქო საზოგადოებაში, ამიტომ რუსეთს არ უნდა, აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოება განვითარებული იყოს. რუსეთს აფხაზეთში უნდა კლანებს შორის დაპირისპირება, რომ შემდეგ მათ დაპირისპირებაზე კრემლმა ითამაშოს.

# აფხაზეთი გადატრიალებას გადაურჩა

## საზოგადოება ისევ პარლამენტის გადაწყვეტილების მოლოდინშია

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში დაუმორჩილებლობის ფარგლებში 20-21 მაისს გადაიკეტა გზები და მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია. სტიქიური პროტესტი ოკუპირებული რეგიონის პარლამენტის გადაწყვეტილებას მოჰყვა. სახალხო კრებამ კენჭი უყარა დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნების საშემოდგომოდ გადატანას, მაგრამ ოპოზიციის ეს ინიციატივა ჩავარდა.

აფხაზეთის საზოგადოება ისევ პარლამენტის გადაწყვეტილების მოლოდინშია. დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ ხალხთან შეხვედრისას პირობა დადო, რომ 21 ივლისს დანიშნულ არჩევნებს 25 აგვისტოსთვის გადაიტანენ. მანვე პარლამენტს მოუწოდა, დათანხმდეს ამ წინადადებას.

ოკუპირებულ რეგიონში პოლიტიკური სიტუაცია 17 აპრილის შემდეგ დაიძაბა. მაშინ თავი ცუდად იგრძნო ოპოზიციის ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა ასლან ბჟანიამ. მისი მსგავსი სიმპტომები აღმოაჩნდათ ასევე მისი დაცვის წევრებს. მოსკოვის მე-14 საავადმყოფოში მოთავსებულ ბჟანიას პნევმონიის დიაგნოზი დაუსვეს, რაც აფხაზეთის საზოგადოებამ არ ირწმუნა.

ხალხის რადიკალიზაცია მოჰყვა მაისში გამოქვეყნებული ექსპერტიზის შედეგს. საექსპერტო დასკვნით, ბჟანიას ავადმყოფობა არ არის გამოწვეული ბუნებრივი მიზეზებით. ხალხმა მოითხოვა არჩევნების გადატანა, რათა ასლან ბჟანიამ შეძლოს მასში მონაწილეობა.

ოკუპირებულ რეგიონში საპროტესტო პიკმა ამ ეტაპზე გადაიარა. ხაჯიმბასა და საზოგადოებას შორის მიღწეული კომპრომისის თანახმად, არჩევნები აგვისტომდე გადაიწევს. შეთანხმების მიუხედავად, დაძაბულობა ბოლომდე განმუხტული არ არის. კეთდება განცხადებები როგორც ოპოზიციის ლიდერის უცნაურ მოულოდნელ დაუძლურებაზე, ისე აფხაზეთში შექმნილ რთულ ვითარებაზე.

ხაჯიმბა აცხადებს, რომ დაინტერესებულია ბჟანიას დროულად გამოჯანმრთელებით, რათა ბოლო მოეღოს სპეკულაციებს მისი ავადმყოფობით. მისი ინფორმაციით, პნევმონია მოსკოვის მე-14 საავადმყოფოში დასმული დიაგნოზია და დასადგენია, რა უძლოდა წინ ამას. რაც შეეხება მის სხეულში აღმოჩენილ ლითონებს, ეს გასაკვირი არ არის. ადამიანის სხეულში მენდელეევის მთელი ცხრილია.

დე ფაქტო პრეზიდენტი პოლიტიკურ ოპოზიციას რეალობის დამახინჯებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ბჟანიას ოპოზიციის ერთადერთ ლიდერად და პრეზიდენტობის შეუცვლელ კანდიდატად წარმოდგენა თვალთმაქცობაა. ცნობილია, რომ ოპოზიცია სხვადასხვა დახურულ გასაიდუმლოებულ შეკრებაზე განიხილავდა პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს.

– ტრაგედია, რომელიც ასლან ბჟანიას დაემართა, ამ ხელისუფლების საქმიანობის კანონზომიერი შედეგია, – აცხადებს დეპუტატი რაულ ლოლუა.

მისი შეფასებით, აფხაზეთის ახლანდელი ხელისუფლება მუდმივად ატყუებს ხალხს. ის, რაც სიცრუითა და ფარისევლობით დაიწყო, პოლიტიკური ტერორით მთავრდება.



რაულ ლოლუას თქმით, ასლან ბჟანიას უეცარმა დაავადებამ არჩევნების წინ საზოგადოების აღელვება გამოიწვია. ხაჯიმბამ და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ამას სრული გულგრილობით უპასუხა. ხელისუფლება ყალბად არწმუნებდა საზოგადოებას, რომ ავადმყოფობის საიდუმლოების გამჟღავნება არ შეიძლება.

ლოლუამ ხაჯიმბას 2014 მოვლენებიც წამოაძახა. მაშინდელ პროცესებს აფხაზეთში „სახელმწიფო გადატრიალებას“ უწოდებენ.

ლოლუას სიტყვებით, იმ ხალხმა, რომელიც იმ მოვლენების შემდეგ მოვიდა ხელისუფლებაში, უხეშად დაარღვია კონსტიტუცია და მას შემდეგ საზოგადოებას მუდმივად ატყუებს. ხაჯიმბამ საზოგადოება გახლიჩა, ეკონომიკა კი კატასტროფამდე მიიყვანა.

შექმნილ სიტუაციაში შემრიგებლურ განცხადებებს აკეთებს ყოფილი ძალოვანი, ამჟამად „აკზაარას“ ლიდერი ლეონიდ ძაპშბა. მისი თქმით, აფხაზეთისთვის ყველამ უნდა დაივიწყოს წყენა, მიდრეკილებები და ამპარტავნობა და ყველა ერთად უნდა დადგეს.

შექმნილ სიტუაციაში არჩევნების წინ ყველას ერთად დგომის მოწოდებები არარეალურია, სტიქიური მოვლენები კი ამ ეტაპზე შეჩერდა.

# „ქართული ოცნების" დეპუტატები ჭიათურის მოვლენებზე პირად პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ"





ჭიათურაში გაფიცული მაღაროელების პროტესტმა უკიდურესი ფორმა მიიღო. პროტესტის მერვე დღეს სამმა მოშიმშილემ პირი ამოიკერა. შპს „ჯორჯიან მანგანეზის" სამთო გამამდიდრებელ კომბინატში დასაქმებულები ხელფასის მომატებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. გუშინვე მაღაროელებმა მთავრობას მიმართეს და მოსახლეობის პრობლემებით დაინტერესებისკენ მოუწოდეს.

– რატომ არ რეაგირებენ და რატომ ახსენდებათ მოქალაქეები მმართველი გუნდის წარმომადგენლებს მხოლოდ არჩევნები წინ? – ამ კითხვით „კომერსანტმა" „ქართული ოცნების" დეპუტატებს მიმართა.

**ფრაქცია ქართული ოცნების წევრი და ჭიათურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი სულხან მახათაძე** აცხადებს, რომ ჭიათურაში შექმნილი ვითარება არასახარბიელოა და სიტუაცია ჩიხშია შესული.

დღეების განმავლობაში მე და ქალაქის მერი მედიატორის როლს ვასრულებდით, თუმცა კომპანია არ წამოვიდა იმ დათმობაზე, რომელიც დასაქმებულების მხრიდან იყო გაჟღერებული. ეს ხალხი ამ მდგომარეობამდე უყურადღებობის და არასწორი კომუნიკაციის გამო მივიდნენ. ადამიანი, რადგან უკიდურეს ზომას ღებულობს, ე.ი აქვს ამის მიზეზი და საბაბი. მე მომდიოდა ინფორმაცია, რომ იქ რაღაც არასწორად ხდებოდა და კომპანიისადმი ჩემი არაერთი თხოვნისა, ისინი ამბობდნენ, რომ კომუნიკაცია აქვთ მუშებთან და ყველა საკითხს აგვარებენ, თუმცა ვნახეთ როგორც არის მოგვარებული.

***– თქვენ, პირადად, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელმა, რა გააკეთეთ იმისთვის, რომ მაღაროელების შრომითი უფლებები ყოფილიყო დაცული?***

– თქვენ რასაც მეუბნებით არ არის მარტივი, იმ სამუშაო ჯგუფში ვიყავი, სადაც შრომის უსაფრთხოების კოდექსი იწერებოდა და პროცესში მონაწილეობას ვღებულობდი. ჭიათურაში გაფიცვები ახლა არ დაწყებულა და 2013 წლიდან ჩართული ვარ ამ პროცესებში. შესაბამისად, კომპანიამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ჰიგიენის, ტრანსპორტირების, ასევე სახელფასო მატების კუთხით. მე ამ ადამიანების ინტერესებს ვიცავდი და დავიცავ მომავალშიც. შრომის უსაფრთხოების კუთხით ჩვენ ახალი კანონმდებლობა მივიღეთ, თუმცა მარტო კანონის მიღება საკმარისი არ არის, მნიშვნელოვანია როგორ ხდება აღსრულდება.

***– 15 დღის (ან ღამის) განმავლობაში 12-საათიან ცვლაში, ოფიციალური შესვენების გარეშე მუშაობა არის თუ არა საკანონმდებლო ხარვეზი?***

– ეს ნამდვილად დარღვევაა, თუმცა, როგორც კომპანია ამტკიცებს, ეს არის ნებაყოფლობითი, თუ ვინმეს არ აქვს სურვილი, შეუძლია, არ იმუშაოს.

***– თუ რეალურად მიმართავდით აღმასრულებელ ხელისუფლებას, თქვენი აზრით, რატომ არ რეაგირებს დარღვევებზე?***

– თუ ჩვენ საკითხს ხისტად მივუდგებით, მაშინ საწარმოო პროცესი უნდა გავაჩეროთ. აქ უნდა მოიძებნოს ოქროს შუალედი იმისთვის, რომ წარმოების პროცესი არ გაჩერდეს და, პლუს, მოაგვარონ სოციალური და გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული პრობლემები. სამუშაოს პროცესის გაჩერების გადაწყვეტილება, რომ მივიღოთ, დაზიანდება ეკონომიკაც და დასაქმებულებიც. ძნელია ერთი ხელის მოსმით ამ პრობლემის მოგვარება.

***– ადამიანი უფრო მნიშვნელოვანი არ არის? შექმნილი ვითარება არის თუ არა თქვენი და დეპუტატების პასუხისმგებლობა?***

– იქ, სადაც ადამიანის უფლებები ირღვევა, ყველას პასუხისმგებლობა იკვეთება. გარკვეული ხარვეზები ჩვენი მხრიდანაც იყო – სათანადო ყურადღება ვერ მივაქციეთ, კანონში შეიძლება იყოს გარკვეული ხარვეზები, თუმცა ვთვლი, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა საკანონმდებლო ხარვეზთან, არამედ კომპანიის მხრიდან პრობლემების იგნორირებასთან.

**ნინო წილოსანი:**

***– როგორ აფასებთ ჭიათურაში შექმნილ ვითარებას?***

– ლეგიტიმურად მივიჩნევ დასაქმებულების მოთხოვნას, ჰქონდეთ ღირსეული პირობები და ღირსეული ანაზღაურება. მძიმე სანახავია რა მდგომარეობაშიც ეს ადამიანები იმყოფებიან. თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოში ბიზნესი საკმაოდ მყიფეა და არ ვარ ჩახედული რამდენად აქვს კომპანიას იმის შესაძლებლობა, სრულად დააკმაყოფილოს გაფიცულების მოთხოვნები. არასერიოზული იქნება იმის თქმა, რომ კომპანიამ აუცილებლად დააკმაყოფილოს ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ და ანაზღაურების საკითხს მოთხოვნა-მიწოდება არეგულირებს. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მინიმალური ხელფასის საკითხიც არ არის დარეგულირებული. ერთი, რაც უნდა მოხდეს, არის კონსენსუსი და ეტაპობრივად პირობების გაუმჯობესება.

***– შექმნილ ვითარებაში ხედავთ თუ არა თქვენი და დეპუტატების პასუხისმგებლობას?***

– ჩემი ინფორმაცია საკითხისადმი არის ზედაპირული და მხოლოდ მედიიდან და ოფიციალურად გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გესაუბრებით. ვთვლი, რომ ძალიან კარგი იქნება თუ პარლამენტი გამოიყენებს ისეთ ინსტიტუტს როგორიც თემატური მოკვლევაა და დეტალურად შევა საკითხის განხილვაში. პარლამენტის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს ერთი ან მეორე მხარისთვის დამანგრეველი. ვფიქრობ, რომ ბოლოს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, თუნდაც შრომით უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, იყო აუცილებელი და მნიშვნელოვანი. თუმცა მეორე ნაწილია რამდენად სწორად ხდება მისი აღსრულება და ამასთანავე ჩვენი ვალდებულებაა მასზე ზედამხედველობა. დათმობაზე უნდა წავიდეს თავად კომპანია და ასევე დათმობაზე უნდა წავიდნენ გაფიცულებიც, რადგან იმ მძიმე ეკონომიკური მემკვიდრეობის მქონე ქვეყანაში, როგორიც ჩვენ გვაქვს, სადაც თითქმის ყველა წარმოება და განსაკუთრებით დიდი ინდუსტრიები მოძველებული ტექნოლოგიებით მუშაობენ, ალბათ, შეუძლებელი იქნება სრულად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა. ამასთან, ის პირობები, რაც შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობაშია ჩადებული, პირველ ეტაპზე ქმნის იმის წინა პირობას, რომ ადამიანების სიცოცხლე იყოს დაცული.

***– თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ისეთი კანონმდებლობა, რომელიც ადამიანის შრომით უფლებებს იცავს, მაშინ, რა ხდება ჭიათურაში?***

– ჩვენ მიერ მიღებული კანონმდებლობა არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელსაც სჭირდება სათანადო აღსრულება. ვაცხადებ, რომ ეს იყო პირველი ეტაპი იმისთვის, რომ სათანადო და ღირსეული პირობები უზრუნველვყოთ დასაქმებულებისთვის. ყველაფრის ერთბაშად გაკეთება მაშინ, როდესაც ჩვენი ეკონომიკა და ბიზნესსექტორი საკმაოდ მყიფეა, იქნება აბსურდული და არა გონივრული სახელმწიფოს მხრიდან. მნიშვნელოვანია აღსრულების ნაწილის გაძლიერება და შემდეგ ჩვენს ცნობიერებაში და ჩვენს სამეწარმეო კულტურაში ამის გადატანა იმიტომ, რომ ბიზნესსექტორმაც გააცნობიეროს, რომ ცვლილების გარეშე ვერ მიეცემათ ნორმალურად მუშაობის საშუალება და ვერც ქვეყანა განვითარდება ადეკვატურად.

კიდევ ერთი მმართველი გუნდის წევრი, რომელსაც ჩვენ ვესაუბრეთ, **ირაკლი ბერაიაა.** „ქართული ოცნების" წევრ ნინო წილოსანის მსგავსად, გაფიცული მაღაროელების შესახებ ინფორმაცია მასაც მედიისგან ჰქონდა. ამ მიზეზით პარლამენტარმა საუბარი არ ისურვა:

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, თემას არ ვიცნობ და ვერ ვისაუბრებ. მედიის საშუალებით მაქვს ინფორმაცია და კომპეტენტური პასუხი, რომ გაგცეთ დეტალები უნდა ვიცოდე. არც მაჟორიტარი ვარ.

***– ადამიანები მერვე დღეა შიმშილობენ და პირი ამოიკერეს – ეს არ არის სახელმწიფოსა და თქვენი, როგორც დეპუტატის პასუხისმგებლობა?***

– თუ არ ვცდები, ამასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფია შექმნილი, მე არ ვიყავი მაშინ საქართველოში. მათ რომ დაუკავშირდეთ, უფრო მეტი ინფორმაცია გექნებათ. რა თქმა უნდა, პირის ამოკერა ცუდი ფაქტია. თუმცა, კომენტარი რომ გავაკეთო, საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მჭირდება. ჩემი თხოვნა იქნება, დაუკავშირდეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც თემატურად ეხებათ საკითხი.

***– ამ ადამიანებმა არჩევნებში თქვენ დაგიჭირეს მხარი...***

– მე წარმოვადგენ სხვა მაჟორიტარულ ოლქს. მეუბნებით, რომ მე ამირჩია ჭიათურის მოსახლეობამ. მე კი არა, ქართული ოცნება აირჩიეს.

***– თქვენ ქართულ ოცნებას არ წარმოადგენთ?***

– მოსახლეობამ რომ ქართული ოცნება აირჩია, დღეს ამ თემაზე რატომ მესაუბრებით? ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან რომ გაარკვიოთ საკითხი, უმჯობესი იქნება.

**კომერსანტი**

## რევაზ არველაძე: „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" კანონპროექტის მიღება ტარიფების გაზრდას გამოიწვევს"

მთავრობის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" კანონპროექტის მიღება ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე ტარიფების გაზრდას გამოიწვევს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" „ქართული ოცნების" დეპუტატმა რევაზ არველაძემ განუცხადა.

საუბარია საკანონმდებლო პაკეტზე, რომლის მომზადებისა და პარლამენტში ინიცირების მიზეზად საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებასთან მიერთება და ევროკავშირის მოთხოვნათა იმპლემენტაცია სახელდება.

– ელექტროგადაცემისა და გამანაწილებელი კომპანიების განცალკევება ხდება. იქმნება ახალი სტრუქტურები. ეს ახალი სტრუქტურები, რა თქმა უნდა, დაფინანსებას საჭიროებს. შესაბამისად, დამატებითი დაფინანსება იქნება საჭირო როგორ ელექტროენერგეტიკაში, ასევე ბუნებრივი გაზის სექტორში. ეს აუცილებლად გამოიწვევს ტარიფების გაზრდას, თუმცა ვერ ვიტყვი, რამდენით გამოიწვევს ტარიფის მატებას, რადგან ამის წინასწარ განსაზღვრა ძნელია. ეს ყველა მომხმარებელს შეეხება – როგორც მოსახლეობას, ასევე კომერციულ მომხმარებლებს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს" დეპუტატმა რევაზ არველაძემ.

არველაძის აზრით, პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი კორექტირებას საჭიროებს. შესაბამისად, მისი ამოქმედების ვადამაც 2021 წლის 1-ლ ივლისამდე უნდა გადაიწიოს.

– კომპანიებს 2 წელი მაინც უნდა მივცეთ, რათა კანონის მოთხოვნები შეასრულონ. თან ეს განცალკევება, რაზეც მე ვსაუბრობ, არაფერი ობიექტური აუცილებლობით გამოწვეული არ არის. ლაპარაკი იმაზე, რომ ასე უნდა ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებას, ჩემთვის იმის მიზეზი არ არის, რომ ასეთი ცვლილებები განხორციელდეს, – აღნიშნა არველაძემ.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათში წერია, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" კანონპროექტი ენერგეტიკული გაერთიანების მიერ მომზადდა, ხოლო ქართული თარგმანი გადამუშავდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.



აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდეგ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" 1997 წლის კანონი ძალადაკარგულად ჩაითვლება.

**IPN**

## 2014 წლის შემდეგ რუსეთიდან შემოტანილი საწვავის წილი 5%-დან 27%-მდე გაიზარდა

2014 წლის შემდეგ რუსეთიდან შემოტანილი საწვავის წილი 5%-დან 27%-მდე გაიზარდა.



ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მიერ ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, რომელიც ქვეყანაში საწვავის ბაზარზე 2014-2018 წლებში არსებულ ტენდენციებს ასახავს.

კვლევა აჩვენებს, რომ საქართველო სრულიად იმპორტირებულ საწვავზეა დამოკიდებული.

– 2018 წელს ქვეყანაში 864 მლნ დოლარის ნავთობი და ნავთობპროდუქტი შემოვიდა, რაც ჯამური იმპორტის 9.5%-ია. ამასთან, იმპორტირებული საწვავის 83% ოთხ ქვეყანაზე მოდის: რუსეთი, რუმინეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი. 2014-2018 წლებში ყველაზე იაფი აზერბაიჯანიდან იმპორტირებული საწვავი იყო, – წერია კვლევაში.

შეგახსენებთ, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" საავტომობილო საწვავის ბაზარზე 2014-2018 წლებში არსებული ტენდენციები მიმდინარე წლის მარტში შეისწავლა.

**კომერსანტი**

## I კვარტალში საქართველოდან საზღვარგარეთ მოგზაურების 677.4 ათასი გასვლა დაფიქსირდა



2019 წლის I კვარტალში საქართველოს ტერიტორიიდან საზღვარგარეთ, საქართველოს რეზიდენტი მოგზაურების 677.4 ათასი გასვლა დაფიქსირდა, რომლის უდიდესი ნაწილი, 44.7 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ. აღნიშნული რაოდენობიდან საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 484.8 ათასი შეადგინა.

2019 წლის I კვარტალში საზღვარგარეთ საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობამ 367.3 ათასი შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელდა 269.8 ათასი ტურისტული და 215.0 ათასი ექსკურსიული ტიპის ვიზიტი.

– აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების 58.9 პროცენტი მხოლოდ ტურისტები იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების წილმა 36.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 4.4 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი. ვიზიტორების უმრავლესობა, 29.7 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 45.3 პროცენტს შეადგენდა", – ნათქვამია სტატისტიკურ მონაცემებში.

ამასთან, საქსტატის ცნობით, 2019 წლის I კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი, 37.3 პროცენტი მეგობრების ან ნათესავების მონახულების მიზნით განხორციელდა. ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თურქეთსა და აზერბაიჯანში, შესაბამისად, 191.9 ათასი და 112.1 ათასი ვიზიტი.

– 2019 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 3.4 ღამე შეადგინა. განხორციელებული ვიზიტების 91.6 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. 2019 წლის I კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეულმა ხარჯებმა 359.3 მილიონი ლარი შეადგინა, ვიზიტზე საშუალო ხარჯი კი 741.0 ლარს გაუტოლდა, – აღნიშნულია საქსტატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**კომერსანტი**

# პრეზიდენტმა 8 პატიმარი და 3 პირობით მსჯავრდებული შეიწყალა



საქართველოს პრეზიდენტმა 24 მაისს, კონსტიტუციით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, შეიწყალა 8 თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული.

პრეზიდენტის პრესსამსახურის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტმა ასევე შეიწყალა 3 პირობით მსჯავრდებული (მათ შორის 1 ქალი), რომლებიც სრულად გათავისუფლდნენ პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდისაგან.

# გიორგი მიქაუტაძე უვადო მოსამართლედ დაინიშნა



24 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის უვადო მოსამართლედ დაინიშნა.

აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 11 ხმით მიიღო.

გიორგი მიქაუტაძეს განაცხადები თავდაპირველად შეტანილი ჰქონდა თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების ადმინისტრაციულ პალატებში, თუმცა, 24 მაისს ცნობილი გახდა, რომ სააპელაციო სასამართლოში კანდიდატურა მოხსნა და მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში დატოვა.

კანდიდატებს შორის გიორგი მიქაუტაძესთან ერთად იუსტიციის საბჭოს სხვა მოსამართლე წევრებიც იყვნენ: რევაზ ნადარაია, ირაკლი ბონდარენკო და ვასილ მშვენიერაძე, თუმცა სამივე მათგანმა (მიქაუტაძის გარდა) კანდიდატურა მოხსნა.

# მერაბ კვირიკაშვილის საქმეზე განაჩენი 30 მაისს გამოცხადდება



24 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მორაგბე მერაბ კვირიკაშვილის საქმეზე დასკვნითი პროცესი გაიმართა. სხდომაზე მხარეებმა დასკვნითი სიტყვა წაიკითხეს.

პროკურორმა იმ დარღვევებზე ისაუბრა, რომლებმაც, მისი თქმით, ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია. პროკურორ ვალერი კუჭუხიძის განცხადებით, მთავარი არგუმენტია ის, რომ პირველად დაკითხვაზე ღია ფერის ავტომობილზე პოლიციას ჩვენება არავინ მისცა. მისი თქმით, ექსპერტების მიერ დასკვნები არასათანადოდაა შესრულებული.

ბრალდების მხარის არგუმენტებს არ დაეთანხმა დაცვის მხარე. მერაბ კვირიკაშვილის ადვოკატ ნუგზარ კვინიკაძის განცხადებით, არსებობს მოწმეების ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ მორაგბის განცხადებას იმის შესახებ, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეობდა ღია ფერის ავტომობილი.

პროცესს მოსამართლე მურთაზ კაპანაძე უძღვებოდა. პროცესს მორაგბე მერაბ კვირიკაშვილი ესწრებოდა. 30 მაისს საქმეზე განაჩენი გამოცხადდება.

საქმე ეხება ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელიც 2016 წელს ქუთაისის შემოვლით გზაზე მოხდა. შემთხვევას ოთხი ადამიანი ემსხვერპლა.

# ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული მ.შ. 2017 წელს სკოლიდან გაიპარა

## რას ყვება მისი დირექტორი



7 თვის ჩვილის მკვლელობის ბრალდებით დაკავებული დედა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში გაიზარდა და ის ამ დრომდე სკოლაში ირიცხებოდა, როგორც მოსწავლე. გოგონას მამა ბოლო 2 წელია, საზღვარგარეთ იყო წასული, თუმცა ამ ტრაგედიის შემდეგ ის უკან დაბრუნდა.

კვირის პალიტრის საიტი დაუკავშირდა სკოლის დირექტორს, შ. კ.-ს, რომელმაც დაადასტურა, რომ გოგონა მისი სკოლის მოსწავლეა და ექსტერნად აბარებდა გამოცდებს.

სკოლის დირექტორის თქმით, გოგონა სკოლაში ბოლოს აღდგომის მომდევნო კვირას გამოჩნდა. მას შემდეგ ის გაკვეთილებს არ დასწრებია.

შ. კ.:

– ის ჩვენი მოსწავლეა დღემდე, გამოირჩეოდა კარგი მოსწრებით, ძალიან კარგი ბავშვია, არანაირი გადახრა მისთვის არ შეგვიმჩნევია, ნორმალური, ჩამოყალიბებული პიროვნებაა. კარგად სწავლობდა, თანატოლებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის გამაოგნებელია და საშინელებაა ეს ტრაგედია.

***– იცოდით თუ არა, რომ ის გათხოვილი იყო?***

– გათხოვილი იყო თუ არა, ეს არ ფიქსირდება. იყო ასეთი შემთხვევა, როცა ის 2017 წელს გაიპარა სკოლიდან, ამის შესახებ მისმა ძმამ შემატყობინა, მითხრა, გაკვეთილებზე იყო, მაგრამ სახლში არ მოსულაო. ბუნებრივია, მაშინვე დავრეკეთ პოლიციაში, პოლიციასთან ჩვენს გასაუბრებას მისი დედაც ესწრებოდა და 2 დღეში გავიგეთ, რომ გაპარული იყო და გამოჩნდა. შემდეგ ამ საქმეს რა მსვლელობა მისცა პოლიციამ, ჩემთვის უცნობია, იმ ფაქტიდან რამდენიმე ხანში გამოჩნდა სკოლაშიც და ჩვეულებრივ დადიოდა.

***– სკოლაში რომ გამოჩნდა, ალბათ დაინტერესდებოდით, სად იყო, რა გიპასუხათ ამაზე?***

– გასაგებია თქვენი კითხვა, ეს იმდენად უხერხულობის მომენტი იყო, ამაზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია. ბავშვი სტრესულ მდგომარეობაში იყო მისი გადადგმული ნაბიჯიდან გამომდინარე და მივიჩნევდით, რომ ზედმეტი კითხვის დასმა არ იყო საჭირო.

ჩვეულებრივ დადიოდა სკოლაში, ზოგჯერ 2 თვეში ერთხელ, გამოცდებსაც აბარებდა. კანონით, პირს რომ მოსწავლის სტატუსი შეუჩერდეს, ამისთვის 90 დღეზე მეტი უნდა ჰქონდეს გაცდენა, თუ 90 დღის განმავლობაში ერთხელ მაინც გამოცხადდა სკოლაში, მაშინ ათვლა იწყება თავიდან. ამიტომ ის არ არღვევდა ამ 90-დღიან ვადას და პერიოდულად ცხადდებოდა სკოლაში.

***– თანაკლასელებთან ან დამრიგებელთან ხომ არ უთქვამს, რომ ოჯახში, სადაც გათხოვდა, რაიმე პრობლემა ჰქონდა?***

– არაფერი მსგავსი. ძალიან თავისუფალი, კომუნიკაბელური ბავშვია, არ იყო აგრესიული პიროვნება, შეეძლო, თავისუფლად და თამამად ჩამოეყალიბებინა თავისი აზრი და პრობლემებზე არასოდეს უსაუბრია. ადამიანური მომენტიდან გამომდინარე, ყველანი განვიცდიდით ამ ამბავს, მის თანაკლასელებთანაც გვქონდა ამ ტრაგედიის შემდეგ საუბარი, თუმცა ბავშვებიც ამბობენ, რომ გოგონას მათთან პრობლემაზე არასდროს უსაუბრია. ჩვენთვის გამაოგნებელია მომხდარი და წარმოუდგენელია, რომ ასეთი დანაშაული ჩაიდინა. ეს არის ძალიან პატარა სოფელი, სულ 106 მოსწავლეა სკოლაში, ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველა ერთმანეთის ნათესავია და ვერავინ გეტყვით მასზე ცუდს.

***– არ გაგიგიათ, რომ გათხოვდა?***

– ეს ჩემთვის უცნობია, არ არის დაფიქსირებული, რომ გათხოვილი იყო.

***– თქვენ ამბობთ, რომ ის პერიოდულად სკოლაში დადიოდა, ფეხმძიმე არ გინახავთ?***

– ფეხმძიმობა არ შეგვიმჩნევია, თუმცა, ბუნებრივია, ფეხმძიმედ იქნებოდა.

***– არც ბავშვთან ერთად გამოჩენილა სკოლაში?***

– ბავშვთან ერთადაც არასდროს გამოჩენილა სკოლაში.

***– რას იტყვით მის ოჯახზე, რა გარემოში იზრდებოდა იგი?***

– ნორმალური ოჯახია. როგორც ვიცი, მას მშობლებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. არასდროს გაგვიგია ინფორმაცია კონფლიქტზე, თუმცა, არ ვიცი, შიგნით ოჯახურ სამზარეულოში რა ხდება, ეს დეტალები ჩემთვის უცნობია.

– გქონდათ თუ არა ამ ტრაგედიის შემდეგ მის მშობლებთან მომხდარზე საუბარი?

– არა, გასაგები მიზეზების გამო, მე მათთან კომუნიკაცია არ მქონია.

# მოკლული ჩვილის მამა, მიხეილ დვალიშვილი, შეიძლება, დააკავონ



შესაძლოა, სოფელ აღაიანში 7 თვის მოკლული ჩვილის მამის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა ლონდა თოლორაიამ ჟურნალისტებს განუცხადა. თოლორაიას თქმით, არასრულწლოვანი დედა დაორსულების დროს იყო 15 წლის, ხოლო 15 წლის პირთან სქესობრივი კავშირი დანაშაულია.

– აღნიშნული საქმის ფარგლებში ხდება მტკიცებულებების მოპოვება და გამოძიება მუშაობს ამ მიმართულებითაც. ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, გოგონა დაორსულების მომენტში ნამდვილად იყო 15 წლის და 15 წლის პირთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირიც კი დანაშაულია. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები ნათესაური კავშირების დადგენის მიზნით და ამის შემდგომ დადგება დღის წესრიგში შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი, – განაცხადა ლონდა თოლორაიამ.

კითხვაზე, აღიძვრება თუ არა მამის, მიხეილ დვალიშვილის, წინააღმდეგ სისხლის სასამართლოს საქმე, შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა უპასუხა, რომ „შესაძლოა აღიძრას“.

# ომარ მახარაძის საქმეზე მუხლი დამძიმდა



სექსუალურ შევიწროებაში დადანაშაულებული ბათუმის უნივერსიტეტის ლექტორის ომარ მახარაძის საქმეზე გამოძიებამ მუხლი დაამძიმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სექსუალური ხასიათის ქმედების იძულებას გულისხმობს. გამოძიება ამ დრომდე კი 150-ე, იძულების მუხლით იყო დაწყებული.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ლექტორი ომარ მახარაძე სტუდენტმა სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულა.

ომარ მახარაძეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტუდენტებთან საუდიტორიო საქმიანობა დროებით შეუჩერა.

თავად ლექტორის მტკიცებით, ტელეფონის პროგრამა გატეხეს, საიდანაც გოგონას მისი სახელით შეტყობინებებს უგზავნიდნენ.

# თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ყაჩაღობისთვის ა.ა.-ს 9 წელი მიესაჯა

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ყაჩაღობისთვის ბრალდებული ა.ა. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 10 აგვისტოს, ქურდობისთვის ნასამართლევმა ა.ა-მ და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა უკანონოდ შეაღწიეს ქ.ახალციხეში მცხოვრებ გ.ფ-ს ბინაში, რომელსაც შეუკრეს ხელ-ფეხი, სცემეს და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცეს 400 ლარი.



მათივე ცნობით, სამართალდამცველებმა ა.ა. 2018 წლის 19 სექტემბერს ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, ასევე, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარედგინა (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით და ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით) და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ა.ა. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## პაკისტანმა ბალისტიკური რაკეტები გამოცადა



პაკისტანის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ახალი ბალისტიკური რაკეტა შაჰინ-3-ის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

რაკეტა 1.500 კილომეტრის სიშორეზე მოქმედებს.

— კმაყოფილი ვართ, — აცხადებს პაკისტანის თავდაცვის სამინისტრო.

## ტრამპი: „ჩინეთთან სავაჭრო ომი მალე დამთავრდება!“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩინეთთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. გარკვეული შედეგები უკვე არის. მიღწეულია შეთანხმება, რომ ამერიკული ფირმები ჩინეთიდან არ წავლენ. ჩინეთ-აშშ-ის ბიზნესკონტაქტებიც გაძლიერდება.

— აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო ომი მალე დამთავრდება! — თქვა პრეზიდენტმა.

## ძაღლი გარდაცვლილ პატრონს მის სამსახურთან დიდი ხნის განმავლობაში ელოდებოდა

ფილიპინებზე ძაღლი დღეების განმავლობაში თავის გარდაცვლილ პატრონს მის სამსახურთან ელოდებოდა.

ძაღლი, სახელად ბუბოი, ორ წელზე მეტი ხნის წინ დაუმეგობრდა მასწავლებელ კარმელიტო მარსელოს. 58 წლის მამაკაცი პამპანგას პროვინციის ერთ-ერთ კოლეჯში ასწავლიდა. ძაღლი ყოველ დილით მიდიოდა სასწავლო დაწესებულების შენობასთან, მარსელო კი მას საკვებით უმასპინძლდებოდა. სასადილო შესვენების დროს ბუბოი კლასში აკითხავდა საჭმლისთვის, ხოლო საღამოს კოლეჯის ტერიტორიას იცავდა.

მაისის დასაწყისში მარსელოს ინსულტი დაემართა და, ბუნებრივია, სამსახურში ველარ დადიოდა, ხოლო 18 მაისს გარდაიცვალა. მთელი ამ დროის განმავლობაში ძაღლი ყოველ დილით მიდიოდა მარსელოს კლასთან და მას ელოდებოდა.



ძაღლის ერთგულებით გულაჩვილებულმა მოსწავლეებმა ბუბოი პატრონთან წაიყვანეს გამოსამშვიდობებლად. როდესაც მან კუბოში მწოლიარე მარსელო დაინახა, აყმუვლდა, შემდეგ კი მის გვერდით დაწვა.

მარსელოს გარდაცვალების შემდეგ ბუბოიზე ზრუნვა საკუთარ თავზე გარდაცვლილის კოლეგებმა, კოლეჯის პერსონალმა და მოსწავლეებმა აიღეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ტერეზა მეი დიდი ბრიტანეთის პრემიერის პოსტს ტოვებს



24 მაისს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ გადადგომის შესახებ განაცხადა.

იგი თანამდებობას 7 ივნისს დატოვებს.

მეი სამი წლის განმავლობაში იკავებდა პრემიერის პოსტს. დაუნინგ სტრიტზე ჟურნალისტებთან საუბრისას მეიმ განაცხადა, რომ მისთვის პატივი იყო, ემსახურა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრად.

მეიმ საუბრისას ყურადღება გაამახვილა მთავრობის იმ მიღწევებზე, რასაც ქვეყანამ მისი პრემიერობის პერიოდში მიაღწია, მათ შორის დეფიციტის აღმოფხვრასა და უმუშევრობის შემცირებაზე.

მან ასევე განაცხადა, რომ ბრექსითი მისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო და იგი წუხს, რომ ვერ შეძლო ამ პროცესის დასრულება.

— ყველაფერი ვცადე, რომ დამერწმუნებინა პარლამენტის წევრები ბრექსითის აუცილებლობაში. სამწუხაროდ, ვერ შევძელი. ყოველთვის ვინანებ, რომ ბრექსითის განხორციელება ვერ შევძელი, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მან თქვა, რომ დეპუტატების დარწმუნება სამჯერ ცადა.

— ვიცი, რომ სწორი იყო შეუპოვრობის გამოჩენა მაშინაც კი, როდესაც მარცხის ალბათობა მაღალი იყო, თუმცა ახლა ჩემთვის ნათელია, რომ ეს ქვეყნის ახალი პრემიერის უმაღლეს ინტერესებში იქნება, რათა ეს მცდელობა გააგრძელოს.

ასე რომ, დღეს მე ვაცხადებ, გადავდექი, როგორც კონსერვატიული პარტიის ლიდერი პოსტიდან 7 ივნისს, შემდეგ კი ჩემს შემცვლელს აირჩევენ.

მისი უდიდებულესობა დედოფალი ინფორმირებულია ჩემი გადაწყვეტილების შესახებ და მე გავაგრძელებ პრემიერის პოსტზე მუშაობას იქამდე, ვიდრე პროცესი დასრულდება.

მე მალე დავტოვებ პრემიერის პოსტს, რაც ჩემს ცხოვრებაში დიდი პატივი იყო, მე ვიყავი მეორე ქალი პრემიერი და არა — უკანასკნელი. ამას არ ვაკეთებ იმიტომ, რომ გაბრაზებული ვარ. ამას ვაკეთებ უდიდესი და მტკიცე მადლიერებით, რომ მქონდა შესაძლებლობა, მემსახურა ქვეყნისთვის, რომელიც მიყვარს, — ამ სიტყვებით დაასრულა გამოსვლა ბრიტანეთის პრემიერმა.

ტერეზა მეიმ გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთებისას ემოციები ვერ შეიკავა და ატირდა.

შეგახსენებთ, რომ ტერეზა მეის მიერ შემუშავებულ გეგმას ბრექსითთან დაკავშირებით პარლამენტმა რამდენჯერმე არ დაუჭირა მხარი. შედეგად ბრექსითის პროცესის გადავადება გახდა საჭირო.

## ვინ შეცვლის ტერეზა მეის




მედიასაშუალებები ტერეზა მეის შემცვლელთა კანდიდატურებს უკვე ასახელებენ. სააგენტო „ფრანს პრესის“ მიხედვით, კონსერვატიული პარტიის მეთაური და, შესაბამისად, ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელი შეიძლება გახდეს დიდი ბრიტანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ჯონსონი.

ის იყო დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის კამპანიის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

კანდიდატთა სიაშია, ასევე, ბრექსითის საკითხებში მინისტრი დომინიკ რააბი, რომელიც გასული წლის ნოემბერში თანამდებობიდან გადადგა, რადგან არ ეთანხმებოდა ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის შეთანხმების პროექტის პირობებს.

პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე პრეტენდენტები შეიძლება იყვნენ, ასევე, გარემოს დაცვის მინისტრი მაიკლ გოუვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯერემი ჰანთი და შინაგან საქმეთა მინისტრი საჯიდ ჯავიდი.

კიდევ ერთი კანდიდატურა, რომელსაც მედია ასახელებს, თემთა პალატის ყოფილი ლიდერი ანდრეა ლიდსომია, რომელიც მიმდინარე კვირას გადადგა თანამდებობიდან.

აღსანიშნავია, რომ ლიდსომი 2016 წელს პრემიერ-მინისტრის კანდიდატებს შორის იყო, მაგრამ კანდიდატურა მეის სასარგებლოდ მოხსნა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ქუთაისმა დელტასთან მოედნის უპირატესობა დაკარგა

**ქუთაისი-დელტა 83:90**
**(23:20, 16:18, 19:32, 25:20)**

საკალათბურთო სუპერლიგის ფინალური სერია ქუთაისში დაიწყო. შარშანდელმა ვერცხლის პრიზიორმა და მიმდინარე ჩემპიონატის რეგულარულში პირველ ადგილზე გასულმა ქუთაისმა საკუთარ მოედანზე დელტასთან წააგო და სერიაში 0:1 ჩამორჩენასთან ერთად მოედნის უპირატესობა დაკარგა.




მატჩის პირველი ნახევარი თანაბარი გახლდათ და ის მასპინძელთა ერთქულიანი უპირატესობით – 39:38 დასრულდა. გარდამტეხი აღმოჩნდა მესამე პერიოდი, რომელიც დელტამ 13 ქულით – 32:19 მოიგო და გადამწყვეტი ათწუთეულის წინ 12 ქულით გალიდერდა.

ქუთაისმა დასკვნით მეოთხედში ცდა არ დააკლო, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა სტაბილურად მოთამაშე მეტოქის დემობილიზება. ლექსო ლაფანაშვილის გუნდის წევრები კონცენტრაციას არ კარგავდნენ და ყველა იმ მცდელობას, რომელსაც ქუთაისი მატჩის გადასარჩენად მიმართავდა, ჩანასახშივე ძირკვავდნენ. მაქსიმუმი, რაც მასპინძლებმა მოახერხეს, ჩამორჩენის 5 ქულამდე შემცირება იყო. თუმცა, მეტი ვერაფერი მოახერხეს და საბოლოოდ დელტამ 90:83 იმარჯვა და საჩემპიონო გზას შეუყვა.

ლაფანაშვილისა და დავით არწივიძის გუნდი ყველაზე დაბალანსებულია სუპერლიგაში. ამის დასტურია ისიც, რომ დელტას ჯერ ფლეი ოფში მატჩი არ წაუგია. ქუთაისი კი ტრავმებით ყველაზე გატანჯული გუნდია. კოტე ტუღუშის გუნდს ფლეი ოფის წინ ძირითადი ხუთეულის 3 წევრი – დეჟან რაიტი, ლევან ფაცაცია და ტერენს ტომპსონი გამოაკლდა. ამ ფონზე ქუთაისელებისთვის ფინალში გასვლაც შედეგად უნდა ჩაითვალოს, თუმცა იმერული კლუბი მაქსიმალურად ცდილობს, შარშანდელი შედეგი (ვერცხლის მედლები) გააუმჯობესოს. დასაწყისი უშედეგო გამოვიდა.

პირველ მატჩში დელტამ ტრადიციისამებრ გუნდურად ითამაშა. 5 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს, რომელთაგან 19 ქულით, 8 ჩაჭრით, 5 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო ერიქ ნოთიჯი. 16 ქულა მოაგროვა მალკოლმ დრამრაითმა, საბა ლობჟანიძემ და ბექა ბექაურმა 14-14 ქულა მიითვალეს. ქუთაისში საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი – 24 ქულა, 14 მოხსნა, 4 პასი. 19-19 ქულა მოაგროვეს გიორგი ბარბაქაძემ და ჯონათან ლიმ.

ფინალური სერიის მეორე მატჩი ქუთაისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება. წაგების შემთხვევაში კოტე ტუღუშის გუნდი თითქმის გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდება.

# ვარსკვლავების რთული ცხოვრება

წინა ნომრებში ჰოლანდიელ ფეხბურთელ ვირჯილ ვან დეიკზე ვწერდით და გიამბეთ, თუ როგორ მუშაობდა რესტორანში მრეცხავად. პრემიერლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გარდა, კიდევ არიან ვარსკვლავები, რომლებმაც არანაკლებ რთული გზა გაიარეს წარმატების მისაღწევად.

**დიდიე დროგბა (კოტ დივუარი)**

აფრიკის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს მოზარდობისას ცეკვა გაცილებით უკეთ გამოსდიოდა, ვიდრე ბურთის გორება. თამაში 18 წლის ასაკში დაიწყო ნახევრადპროფესიულ ფრანგულ კლუბ ლევალუაში – თანაც, ახალგაზრდულ გუნდში. დაიწყო მარჯვენა მცველად... შემდეგ მთავარ გუნდში დააწინაურეს, მაგრამ დატვირთვებს ვერ გაუძლო და გაუშვეს.

დიდიე ლე მანში წავიდა, თან ცეკვავდა და თან კოლეჯში სწავლობდა. დიდი წვალების მერე, 21 წლის ასაკში ლე მანთან პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა. იმ პერიოდში შვილი შეეძინა და, როგორც თავად გაიხსენა, სწორედ ეს იყო გადამწყვეტი მომენტი: მეტი პასუხისმგებლობა იგრძნო.

როდის გაბრწყინდა დროგბა? 2004 წელს, როდესაც მარსელმა უეფას თასის ფინალამდე მიაღწია. ამ დროს უკვე 26 წლისა იყო. მერე კი რა ამბები ჩაიდინა, ყველამ იცის... მის გარეშე ჩელსი ვერ იჩელსებდა და ვერც ჩემპიონთა ლიგას მოიგებდა.

**პეტერ შმეიხელი (დანია)**

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მეკარე 18 წლამდე საფეხბურთო კარიერაზე არც ფიქრობდა. სამოყვარულო კლუბში ერთობოდა, ათჯერ მეტ დროს კი როკჯგუფს უთმობდა. იქ ხან გიტარაზე უკრავდა, ხანაც – დასარტყმელ ინსტრუმენტზე. მოგვიანებით, 1996 წელს, დისკი გამოუშვა, რომელიც პოპულარული გახდა.

მუსიკის გარდა, ხელბურთსაც თამაშობდა. ამის საშუალებას ხელის დიდი მტევანი აძლევდა. სხვათა შორის იქაც წარმატებული იყო. ფეხბურთში პირველი პროფესიული კონტრაქტი 21 წლისამ გააფორმა.

– მეკარე კლოუნივით უნდა იყოს, ყველაფერი უნდა იცოდეს, – ეს შმეიხელის სიტყვებია.

**მორენო ტორიჩელი (იტალია)**

ვისაც 90-იანი წლების იუვენტუსი უნახავს, ეს კაცი თვალში აუცილებლად მოხვდებოდა. გიჟური შესახედაობის მცველი, თვალებანთებული. პროფესიული კარიერა 22 წლისამ დაიწყო, მანამდე ხელოსნად მუშაობდა, პარალელურად კი სამოყვარულო კლუბ კარატეზეში ერთობოდა და სიგარეტსაც ეწეოდა.



როგორ ნახა იუვენტუსმა? ჯოვანი ტრაპატონის იუვეს ამხანაგური მატჩი ჰქონდა კარატეზესთან. ტრაპის მოეწონა 22 წლის ტორიჩელი და ბებერმა ქალბატონმაც 40.000 დოლარი გადაუხადა პატარა კლუბს.

ღირდა კი ეს თანხა? ფაქტია, ღირდა... ტორიჩელიმ ნელ-ნელა დაიმკვიდრა ადგილი „ბებერი ქალბატონის“ სასტარტო შემადგენლობაში. ტრაპატონის შემდეგ ტურინში მწვრთნელად მარჩელო ლიპი მივიდა და იუვეც სასწაული გუნდი გახდა. ტორიჩელიმ კი, აბსოლუტურად ყველა ტიტული მოიგო, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგაც.

*მორენო ტორიჩელი:*

– ფეხბურთი ჩემთვის ჰობი იყო. იუვენტუსზე არც მიოცნებია. არათუ იუვეზე, პროფესიონალი ფეხბურთელი თუ გავხდებოდი, ვერც წარმოვიდგენდი.

ტორიჩელის სიგარეტი არც დიდი ფეხბურთის დროს გადაუგდია, იუვეს პერიოდშიც ერთ კოლოფამდე ადიოდა...

**პატრიკ მბომა (კამერუნი)**

კამერუნის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი, 56 სანაკრებო მატჩში 33 გოლით. მბომა არ იყო სამუელ ეტოო, მაგრამ მაღალი დონის ფორვარდი ნამდვილად გახლდათ. მოიგო ოლიმპიადა, ორჯერ აიღო აფრიკის თასი, იაპონიის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე გახდა...

22 წლისა იყო, როცა პსჟ-ში გასინჯვაზე მიიყვანეს. 23 წლისამ გააფორმა პირველი პროფესიული კონტრაქტი. ამ ასაკში ლეო მესის უკვე 3 ოქროს ბურთი ჰქონდა.

რას აკეთებდა მბომა მანამდე? უნივერსიტეტში მათემატიკას სწავლობდა, სხვადასხვა გუნდში დადიოდა გასინჯვაზე, მაგრამ არსად იტოვებდნენ.

**არნე ფრიდრიხი (გერმანია)**

გერმანელმა ფეხბურთელმა ორ მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა, კარიერის დიდი ნაწილი ჰერტაში გაატარა და გუნდის კაპიტანიც იყო. გერმანიის ნაკრებში ერთი გოლი აქვს გატანილი, თანაც, არგენტინასთან 4:0 მოგებულ შეხვედრაში.

18 წლის ფრიდრიხი სამზარეულოს ავეჯის დამამზადებელ კომპანიაში სტაჟიორი იყო. 2 წელი მუშაობდა, თან სამოყვარულო ლიგაში ერთობოდა. 21 წლისა იყო, როცა ბილეფელდის არმინიას (მეორე ბუნდესლიგა) მწვრთნელ გერლანს მოეწონა და პროფესიული კონტრაქტი შესთავაზა.

ფრიდრიხს საფეხბურთო აკადემია გავლილი არ აქვს – ბურთს მხოლოდ ეზოში აგორებდა.

**მიროსლავ კლოზე (გერმანია)**

პოლონელი ემიგრანტების შვილი 20 წლის ასაკში ქვაზე მუშაობდა და მშენებელი იყო. ბავშვობაშიც მამას სულ ეხმარებოდა: მეტწილად დაზგაზე, თან ფეხბურთზეც დადიოდა.

21 წლის მირო კაიზერსლაუტერნის მეორე გუნდში მოხვდა, რომელიც მეხუთე ბუნდესლიგაში თამაშობდა. სეზონში 11 გოლი გაიტანა, მერე კი შეამჩნიეს და...

დღესდღეობით კლოზე მსოფლიო ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია 16 გოლით.

**კარლოს ბაკა (კოლუმბია)**

20 წლის ბაკა სახლიდან დილაადრიან გადიოდა და 15 საათის განმავლობაში ავტობუსს ატარებდა. მძღოლად დღეგამოშვებით მუშაობდა, დასვენების დღეებში კი პატარა ქალაქ პუერტო ბოლივარის სამოყვარულო გუნდში აგორებდა ბურთს ან თევზაობდა.

ერთ დღესაც მწვრთნელმა დავიდ პინილიოსმა შეამჩნია და ბაკაც მეორელიგელი ატლეტიკო ხუნიორსის ფეხბურთელი გახდა. ამ ლიგის ბომბარდირი ხომ გახდა, მერე მთავარ ლიგაშიც ყველაზე მეტი გაიტანა, 25 წლის ასაკში კი ევროპაში გადაბარგდა: ბრიუგე, სევილია, მილანი, ვილიარეალი...

იან რაიტი (ინგლისი)

კაცი, რომელიც მომავალში ლონდონის არსენალის თილისმა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა, 21 წლის ასაკში სამოყვარულო კლუბში გახლდათ. ამ კლუბს გრინვიჩ ბორო ერქვა. ერთ-ერთ გასართობ სამოყვარულო თამაშში კრისტალ პალასის სკაუტ პიტ პრენტისს მოეწონა, მიუყვანა მწვრთნელ სტივ კოპელს, რომელიც 3 დღე აკვირდებოდა და გადაწყვიტეს, პროფესიული კონტრაქტი გაეფორმებინათ.

100 გირვანქა კვირაში – ეს იყო რაიტის პირველი ხელფასი... მერე კი ამდენი, ალბათ, საათში ჰქონდა.

**დადო პრშო (ხორვატია)**

1995 წელს, როცა 21 წლისა იყო, საფრანგეთის მეხუთელიგელ სან რაფაელში თამაშობდა და პარალელურად ავტომექანიკოსად მუშაობდა.

მონაკოს მწვრთნელმა, ცნობილმა ჟან ტიგანამ შეამჩნია. გუნდში მიიყვანა და 2 წლით აიაჩოში გაანათხოვრა. იქიდან დაბრუნებული პრშო კი მონაკოს მეგოლე გახდა, გუნდიც მაგრად თამაშობდა: საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. მერე ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გავიდა. ალბათ ბევრს ემახსოვრება პრშო-მორიენტეს-ჟიულის სამეული, რომელიც ბევრ გრანდს თავზარს სცემდა.

**იასინ ბამუ (მაროკო)**

ეს მაინც განსაკუთრებული ამბავია. 21 წლისა პარკ დე პრენსის სტადიონის ტერიტორიაზე, მაღაზიაში პსჟ-ს მაისურებს ყიდდა და, როცა ეცალა, სამოყვარულო გუნდში ერთობოდა. 22 წლისა კი ნანტის ძირითადის ფეხბურთელი გახდა.

*აი, თავად ბამუ რას ყვება:*

– პსჟ-ს ჩემი თავი შევთავაზე, მაგრამ დამცინეს. ხშირად ვხედავდი იბრაჰიმოვიჩს, კავანის, სხვა ვარსკვლავებს... მეცინებოდა, ნეტავ რა რეაქცია ექნებოდათ, როცა მათ წინააღმდეგ ვითამაშებდი. ნეტავ, თუ მიცნობდნენ. თუმცა ვერ მიცნეს.

მაროკოელი ნანტში თავად მივიდა გასინჯვაზე. მოეწონათ და დაიტოვეს. ახლა კაენშია. მაროკოს ნაკრებშიც ითამაშა – 6 მატჩი, 1 გოლი. ესაა ისტორია იმ ბიჭის, რომელსაც საფეხბურთო აკადემიაში არასდროს უვარჯიშია.

# ბათუმის შავი ზღვის ბიჭები საქართველოს ჩემპიონია

ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატის ფინალში ბათუმის შავი ზღვის ბიჭებმა 35:25 დაამარცხა თბილისის პეგასი და 2016 და 2018 წლის შემდეგ ტიტული მესამედ მოიპოვა.

ფინალი ვერ გამოვიდა ისეთი დრამატული, როგორც წინა დღის ნახევარფინალი ქუთაისსა და პეგასს შორის ან როგორც შარშანდელი ფინალი, ბათუმი-ქუთაისი. მიზეზი მარტივი იყო – ბათუმელთა უპირატესობა, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში იგრძნობოდა. მერაბ ჭანტურიასა და მამუკა მჟავანაძის გუნდი იყო ყველაზე გამოცდილი, ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობისა და ყველაზე „გრძელი სკამის“ მქონე და 23 თამაშიდან 21 მოიგო.

თუმცა, პეგასისა და ბათუმის ბალანსი ამ სეზონში 2:2 იყო. პეგასმა მოიგო საქართველოს თასის ფინალი სექტემბერში, ხოლო ჩემპიონატში უპირატესობა ბათუმელებს ჰქონდათ – 2:1. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ თამაში გამოვიდა უკიდურესად ხისტი და უკომპრომისო. მას შემდეგაც კი, როდესაც გამარჯვებულის ვინაობა გაირკვა და ეს მეორე ტაიმის პირველ ნაწილშივე მოხდა. ბრძოლა ბოლო წუთამდე უმძაფრესი იყო. ბათუმს დაუგროვდა 9 ორწუთიანი გაძევება, პეგასს – 12, ხოლო ორივე გუნდის მწვრთნელმა თამაში წითელი ბარათით დატოვა.




თანაბარი ბრძოლა იყო მხოლოდ საწყის 20 წუთში. პეგასის ლიდერი, ნიკოლოზ კალანდაძე, რა თქმა უნდა, პერსონალურად იყო აყვანილი. მიუხედავად ამისა, მაინც ბევრი გაიტანა – 12 გოლი. თუმცა, კალანდაძე, ფაქტობრივად, მარტო იბრძოდა. ზარნაძემ მხოლოდ მეორე ტაიმში დაიწყო გოლების გატანა, ჩვეულად შედეგიანი ვერ იყო კუხალაშვილი, ხოლო გრიშიკაშვილი ხაზზე მჭიდროდ ჰყავდათ აყვანილი.

ამის მიზეზი იყო, რა თქმა უნდა, ბათუმელთა დაცვა ლევან ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, რატი მსხვილიძით ცენტრში და ორი საიმედო მეკარით. რატიმ სეზონში ალბათ პირველად ითამაშა მთელი ძალით და ექვსი დარტყმიდან 5 გოლი შეაგდო, ჩვეულად შედეგიანები იყვნენ სიმონია და ორივე გარემარბი – გოგოლაძე და აბრამიშვილი, ასევე ხაზის მოთამაშე კოხრეიძე, შეტევას კი უძღვებოდა ძალიან გამოცდილი ტალახაძე.

პირველი ტაიმის მე-20 წუთისთვის პეგასმა ზედიზედ მიიღო რამდენიმე ორწუთიანი და ბათუმმა სწორედ აქ დაიწყო უპირატესობის დაგროვება, ტაიმი 14:9 მოიგო და შესვენების შემდეგ სხვაობა გაზარდა.

პეგასი ფინალურ ოთხეულში მეორედ იყო, ფინალში პირველად გავიდა და ჩემპიონატის მედლები პირველად მოიპოვა, რაც ტიტე კალანდაძისა და გიორგი სახვაძის ახალგაზრდული გუნდისთვის უდაოდ დიდი წარმატებაა, მით უფრო, რომ გუნდს ტრავმის გამო მთელის სეზონის განმავლობაში აკლდა ერთ-ერთი ლიდერი, ლაპიაშვილი. უმაღლეს ლიგაში თამაშის 6 სეზონის განმავლობაში კლუბი ქართული ხელბურთის ერთ-ერთ ნაყოფიერ კერად იქცა, ასაკობრივ ნაკრებებს გაუზარდა ბევრი ნიჭიერი მოთამაშე, ხოლო ეროვნული ნაკრების წევრები, ცხოვრებაძე და დიხამინჯია ევროპულ კლუბებშიც მიავლინა.

ჩემპიონატში მე-3 ადგილზე გავიდა თელავის იმედი-სტუ, რომელმაც ქუთაისი დაამარცხა – 31:30. რიონისპირული გუნდი რამდენიმეჯერ დაწინაურდა 4 ბურთით, მაგრამ თელაველები ყოველთვის ათანაბრებდნენ ანგარიშს და ბოლოში მოიგეს კიდეც.

ფინალების შემდეგ ხელბურთის ფედერაციამ დაასახელა უმაღლესი ლიგის საუკეთესო შვიდეულები პოზიციების მიხედვით. დაჯილდოვდნენ საუკეთესო ბომბარდირებიც.

2 პირადი ჯილდო მოიგო თბილისის პეგასის 17 წლის მოთამაშე ნიკოლოზ კალანდაძემ – გახდა საუკეთესო გამთამაშებელი და საუკეთესო ბომბარდირი 23 მატჩში გატანილი 198 გოლით. ბომბარდირთა სიაში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: გიორგი ახალბედაშვილი (გორი, 193), ირაკლი გოგოლაძე (ბათუმი, 192) და დავით ყორიაული (თელავი, 192).

შვიდეულში 3 ხელბურთელი მოხვდა ჩემპიონის, ბათუმის შავი ზღვის ბიჭები შემადგენლობიდან, თითო წარმომადგენელი ჰყავთ პეგასს, თელავის იმედს, ქუთაისსა და გორს.

საუკეთესო შვიდეული:

ზურაბ ცინცაძე (იმედი-სტუ თელავი); ხაზეინ რუსტამოვი (ქუთაისი), ზურაბ სიმონია, რატი მსხვილიძე, გიგა კოხრეიძე (ყველა ბათუმი), ნიკოლოზ კალანდაძე (პეგასი), გიორგი ახალბედაშვილი (გორი).

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ბასილაშვილმა რევანში აიღო და რევანშისთვის ემზადება



2017 წელს ლიონის ტურნირის ნახევარფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილი ჟო-ვილფრიდ ცონგას დაუპირისპირდა და დაძაბულ, 3-სეტიან ბრძოლაში დამარცხდა. მაშინ ქართველი ჩოგბურთელი ოცეულში არ იმყოფებოდა.

ზუსტად 2 წლის შემდეგ რევანში შედგა. ბასილაშვილმა ცონგას 2 სეტში, ერთნაირი ანგარიშით – 6:4, 6:4 აჯობა და ლიონის პრესტიჟული ტურნირის ნახევარფინალში გავიდა.

მატჩი ცონგას უპირატესობით დაიწყო, როდესაც მატჩის დასაწყისში ბრეიქი გააკეთა, თუმცა ნიკამ მდგომარეობა უმალ გამოასწორა და მას შემდეგ ქართველი მეჩოგნე მთელი მატჩის განმავლობაში მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

ნახევარფინალში ნიკოლოზ ბასილაშვილი კანადელ ფელიქს ოჟე-ალიასიმეს დაუპირისპირდება. სხვათა შორის, ჩვენებურს რევანში მასთანაც აქვს ასაღები – 18 წლის ჩოგბურთელმა ბასილაშვილს 2 თვის წინ, მაიამის ტურნირზე 2 სეტში მოუგო.

# რუსთავში გაუპატიურების მცდელობისთვის ჯ.მ. დააკავეს




პოლიციამ რუსთავში გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით 1 პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გაუპატიურების მცდელობის ბრალდებით, 1994 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ჯ.მ. დააკავეს.

დანაშაული 6-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული მიმდინარე წლის 20 მაისს რუსთავში ერთ-ერთ პარკში თავს დაესხა 1988 წელს დაბადებულ ქ.ს.-ს და მისი გაუპატიურება სცადა.

ქალმა მას წინააღმდეგობა გაუწია და გაქცევა მოახერხა, რის შემდეგაც ჯ.მ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა იგი მომხდარიდან მეორე დღეს რუსთავში დააკავეს.

გამოძიება გაუპატიურების მცდელობის ფაქტზე, სსკ-ის 19-137-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

# ნიანგების ტყვეობაში აღმოჩენილი მამაკაცი გადარჩა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში მამაკაცმა მთელი ღამე ხეზე გაატარა, რათა თავი ნიანგებისგან გადაერჩინა.

38 წლის ჯოელ გრიფიტი სათევზაოდ კეიპ პალმერცტონის ეროვნულ პარკში გაემგზავრა. მან ტალახში ჩაფლული ავტომობილი შენიშნა, რომელშიც ქალი და ბავშვი იმყოფებოდნენ. ის მათ განთავისუფლებაში დაეხმარა, ხოლო როდესაც ისინი წავიდნენ, აღმოაჩინა, რომ ტალახში უკვე მისი მანქანა იყო ჩაფლული.

მამაკაცმა კოცონი დაანთო, სამაშველო სამსახურს დაუკავშირდა და ხეზე აძვრა, რათა ნიანგებთან შეხვედრისთვის თავი აერიდებინა, რომლებმაც იმ დროისთვის მისი მანქანის გარშემო თავმოყრა დაიწყეს.

– ფარები ავანთე, როდესაც ნიანგების ხმები შემომესმა. ისინი მანქანასთან სულ უფრო ახლოს მოდიოდნენ და უკვე მათ წითელ თვალებსაც ვხედავდი. იძულებული ვიყავი კოალას პოზაში ვმჯდარიყავი ხეზე, რათა ძირს არ ჩამოვვარდნილიყავი, – ყვება გრიფიტი.

მან მთელი ღამე ხეზე გაატარა და ნიანგების გარდა, კოღოების მოგერიებითაც იყო დაკავებული. დილით ავსტრალიელი პოლიციელებმა გადაარჩინეს, რომლებსაც ახლა ის აქვთ საფიქრალი, თუ როგორ დაუბრუნონ გრიფიტს მისი მანქანა.

# ასტროპროგნოზი

## 25 მაისისთვის



**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **კურო** – შესაფერისი დღეა აქტიური ინდივიდუალური მუშაობისთვის. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ზედმეტი თავდაჯერებულობა საზიანოა. **ტყუპები** – სავარაუდოდ, ფინანსების დანაკარგია მოსალოდნელი. არავის ენდოთ, დიდია მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – ჩანაფიქრი იოლად გისრულდებათ, თუმცა, ამავე დროს, შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. **ლომი** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **ქალწული** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ძალზე გააუმჯობესებს. საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **სასწორი** – ბიზნესპარტნიორები ხაფანგს გიგებენ. არავითარ შემთხვევაში მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სიზარმაცემ შემოგიტიათ? შეუტიეთ თქვენც. თუ ასე არ მოიქცევით, ნებისმიერი წვრილმანი ცვლილებაც კი საზიანო იქნება. **მშვილდოსანი** – თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **თხის რქა** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **მერწყული** – თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. გელით კარიერული წინსვლა. **თევზები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მოსალოდნელია დიდი წარმატება ხელოვნების სფეროში, ასევე კარგი პერიოდია შვებულებაში გასასვლელად ან, უბრალოდ, ბუნების წიაღში დასასვენებლად.

## 26 მაისისთვის

**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში თქვენი იდეების რეალიზებას იოლად მოახერხებთ. ხელმძღვანელ პირებთან და ბიზნესპარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებას მოგიტანთ. საღამო ბუნების წიაღში გაატარეთ. **კურო** – კრიტიკული დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. მოვლენები საღად შეაფასეთ. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გამოიჩინეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დღეს რეკომენდებული არ არის საყიდლებზე წასვლა. შესაძლოა, კომპრომისზეც წახვიდეთ. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. ფასეულობათა გადაფასების დღეა. დროის უმეტესი ნაწილი ბავშვებს დაუთმეთ. **ლომი** – დღეს განსაკუთრებით საჭიროა სულიერი ძალების მოკრება. თუ წარმატების მიღწევა გსურთ, იყავით მაქსიმალურად თავშეკავებული და კეთილგონიერი. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერი საქმე გამოგდით. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა წარმატებით დაგვირგვინდება. **სასწორი** – შემოქმედებითი დღეა. განსაკუთრებით გაგიმართლებთ პირად ცხოვრებაში. შესაძლოა, ძველმა მეგობარმა გაგიხსენოთ. საღამოს, კარგი იქნება, თუ განმარტოვდებით და საკუთარ ფიქრებთან მარტო დარჩებით. **ღრიანკალი** – ჰარმონიული დღეა, მშვიდად ხართ. შესაძლოა, ფინანსური კუთხით მცირე პრობლემა შეგექმნათ, თუმცა ეს სიმშვიდეს ვერ დაგირღვევთ. **მშვილდოსანი** – იოლად ნურავის მიენდობით. დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ კომერციულ აქტივობასა და ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენას. **თხის რქა** – საკმაოდ კარგი დღეა თქვენი იდეების ხორცშესასხმელად, თუმცა ვარსკვლავები გლობალურ პრობლემებთან შეჭიდებას არ გირჩევენ. **მერწყული** – ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გამოიჩინეთ. ყველაფერი გააკონტროლეთ როგორც პირად ცხოვრებაში, ისე – სამსახურში. **თევზები** – წადით საყიდლებზე. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# მოზარდმა საკუთარი მოტაცება გაითამაშა



ჩინეთში 13 წლის ბავშვმა საკუთარი მოტაცება იმისთვის გაითამაშა, რომ მშობლების ყურადღება მიეპყრო. სიჩუანის პროვინციის ლუჩჟოუს ოლქის მცხოვრები მოზარდი მაისის დასაწყისში მიტოვებულ სატვირთო მანქანაში იპოვეს. ის შეკრული, პირში ნაჭერჩაჩრილი იწვა მანქანაში. ბიჭმა პოლიციას უამბო, რომ უცნობმა მას თვალებში გაზი შეასხურა, რის შემდეგაც გონება დაკარგა, ხოლო როდესაც თვალი გაახილა, ავტომობილში იმყოფებოდა. პოლიციელებმა ბიჭის სახლი დაათვალიერეს და დანაშაულის კვალს ვერ მიაგნეს. ისინი დიდხანს აწარმოებდნენ მის გამოკითხვას ოჯახთან დაკავშირებით. საბოლოოდ მან აღიარა, რომ თავადვე გაითამაშა საკუთარი გატაცება. როგორც გაირკვა, ის პაპასთან და ბებიასთან ცხოვრობდა და ბოლოს თავისი მშობლები, რომლებიც სხვა პროვინციაში მუშაობენ, ჩინურ ახალ წელს ნახა.

ბიჭი დარწმუნებული იყო, რომ მშობლები სახლში უეჭველად დაბრუნდებოდნენ, თუ ამის სათანადო მიზეზი იქნებოდა.

– დედა და მამა მომენატრნენ, – განაცხადა მოზარდმა. მშობლების რეაქცია აღნიშნულ შემთხვევაზე უცნობია.

# მკვლელი მაიმუნი ქალაქს ცხრა დღე ატერორებდა



ინდოეთის ქალაქ ბადნავარში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო მას შემდეგ, რაც მაიმუნმა ერთი ადამიანი მოკლა, ხოლო კიდევ რამდენიმე ადამიანი დააშავა.

ცხოველი ცხრა დღის განმავლობაში დაძრწოდა ქალაქში და თავს ესხმოდა ადამიანებს. ამ ყოველივეს შედეგად 60 წლის მამაკაცი, სახელად ნატურამი დაიღუპა, ხოლო კიდევ 10-მა ადამიანმა სამედიცინო დახმარებისთვის ადგილობრივ საავადმყოფოს მიმართა.

ბადნავარის მცხოვრებლები ქუჩებში გამოვიდნენ და ადგილობრივ ხელისუფლებას მოსთხოვეს, ყველაფერი გააკეთოს ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. მცხოვრებლების კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სამედიცინო დაწესებულებებს ცოფის საწინააღმდეგო წამლები არ აღმოაჩნდათ. მათ ქალაქში მოძრაობა გადაკეტეს, რამაც პოლიციის მუშაობაც სერიოზულად შეაფერხა. ზოგიერთი მონაცემებით, პროტესტანტებმა ქუჩაში დაღუპულის ცხედარი გამოიტანეს.

საოლქო პოლიციის წარმომადგენელმა პირობა დადო, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველა საჭირო ღონისძიებას გაატარებდა. ცოფის საწინააღმდეგო საშუალებები ქალაქში უკვე შეიტანეს. გარკვეული დროის შემდეგ კი ხელისუფლებამ მკვლელი მაიმუნის დაჭერაც მოახერხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 2. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 3. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 5. რძის პროდუქტი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ძველი გერმანული ტომები, რომლებმაც მეხუთე საუკუნეში გაძარცვეს და სასტიკად დაარბიეს რომი; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 16. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 18. ლატვიის დედაქალაქი.

**თარაზულად:** 1. შენობის სახურავად გამოყენებული ნაპობი თხელი ფიცარი ძველად საქართველოში; 4. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 8. გამოჩენილი ორატორი; 12. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 15. მეფის განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძანებულება; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება სახვით ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. ღვინის სასმისი; 21. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ურუშაძე; 2. ხახული; 3. ქუჩაბანდი; 4. გაბენი; 5. გრიმალდი; 7. იენი; 11. ნებიერი; 13. ბავარია; 15. სესხი; 16. ბზობა; 18. დირსი; 19. დუბაი.

**თარაზულად**: 6. როსინი; 8. ზანდური; 9. ამბიცია; 10. ალბიონი; 12. პიეტა; 14. ყინული; 17. დივიდენდი; 20. აგევზია; 21. ჩხოუში; 22. სედანი; 23. კამპუჩია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სალიამი; 2. ფშავი; 3. ფედერერი; 4. ქენონი; 5. კოსტავა; 6. ფაეტონი; 11. შტატი; 13. ჩარტერი; 14. ფოქსტროტი; 15. სინელოგია; 17. პუსანი; 18. დევიზა; 19. გობი.

**თარაზულად**: 7. ჩაჟაში; 8. გენეოლოგია; 9. ფილტვი; 10. დეპოზიტი; 12. ვინჩესტერი; 14. ფრანსი; 16. აპერკოტი; 18. დოქტრინა; 20. ხვატი; 21. ილი; 22. მაყრიონი; 23. იაგო; 24. დილეტანტი.

## „რა? სად? როდის?“ იწყება




25 მაისიდან ელიტური ინტელექტკლუბი „რა? სად? როდის?“ პირველ არხზე იწყება.

3-წლიანი პაუზის შემდეგ გადაცემა ეთერში რიგით მეათე სეზონით დაბრუნდება.

საიუბილეო სეზონის პირველ გადაცემაში, ზაფხულის სეზონის პირველ თამაშში მაყურებლის წინააღმდეგ ოთარ საბაშვილის ექვსეული ითამაშებს გიორგი გვეტაძის, დავით სიჭინავას, ნინო ფერაძის, ბესიკ ლილუაშვილის, ოთარ საბაშვილისა და ინტელექტკლუბის ერთადერთი მაგისტრის გიორგი ბაქრაძის შემადგენლობით.

## კინოს სახლში ლევან აბაშიძის ფილმების ჩვენება მიმდინარეობს



კინოს სახლში მსახიობ ლევან აბაშიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით მისი ფილმების ჩვენება მიმდინარეობს.

სამდღიან კინოჩვენებებზე მისულ მაყურებელს კინოს სახლის ხელმძღვანელობამ შესთავაზა ალექსანდრე რეხვიაშვილის „საფეხური“, ლანა ღოღობერიძის „ორომტრიალი“, გიო მგელაძის „არა, მეგობარო“ და ტატო კოტეტიშვილის „სითი ლაიფ“.

ლევან აბაშიძე აფხაზეთის ომში 29 წლის ასაკში დაიღუპა. ის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. წელს ლევან აბაშიძე 56 წლის გახდებოდა.

## ამირან შალიკაშვილი: „ამაშენებინეთ თეატრი!“



პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი უმცროსი ამირან შალიკაშვილი 54 წლის თეატრისთვის საკადრისი შენობის აშენებას ითხოვს“

– მე ერთი ვარ! ადამიანმა 79 წელი გაატარა საქართველოს განვითარებისთვის და მას პატივი მიაგეს და დაკრძალეს პანთეონში!

დღეს რა რეალობა გვაქვს? 54 წლის თეატრი! 1965 წელს, 13 მაისს, სპექტაკლით „ესეც ასე“ დაიწყო ცხოვრება...

მე, ამირან შალიკაშვილი, უკვე არა ჯუნიორი, არამედ უფროსი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხმამაღლა ვიძახი! მე შალიკაშვილი ვარ! ამაშენებინეთ თეატრი! ჩვენ ვაშენებთ თეატრს! რომელს გაქვთ 54 წლის თან პანტომიმის ერთადერთი ხელოვნების ისტორია? მე ნუ გამაერთიანებთ სხვასთან!

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი?! ჩემი ხელებით დავმარხე ორივე მშობელი! ქვეყნის სიმდიდრე მიწაში ჩავდე, რა გჭირთ?! როგორ გძინავთ ამ ყველაფრის შემდეგ!

## თინათინ მაღალაშვილი უზბეკეთის მოდის დღეებში მონაწილეობს




ქართველი დიზაინერი თინათინ მაღალაშვილი და მისი მოდის სახლი უზბეკეთის ქალაქ ბუხარაში გამართულ მოდის დღეებში მონაწილეობს.

25-26 მაისს ბუხარაში უკვე მეთვრამეტედ იმართება ფესტივალი, რომელიც ითვალისწინებს აბრეშუმის გზის ტრადიციების აღდგენას ძველი და ახალი ნოვატორული იდეების სინთეზით.

მოდის დღეებში მონაწილეობენ დიზაინერები სხვადასხვა ქვეყნიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან, უზბეკეთიდან, საფრანგეთიდან.

საქართველოდან ამ ღონისძიებაზე მოდის სახლი „თინათინ მაღალაშვილი“ მიწვეულია საპატიო სტუმრის სტატუსით და წარადგენს კოლექციას საქართველოს სახელით.

– ჩვენთვის დიდი პატივია საქართველოს სახელის წარდგენა ნებისმიერ ღონისძიებაზე და მოხარულები ვართ, რომ ყოველი ასეთი მონაწილეობის შემდეგ ვტოვებთ ყველაზე პოზიტიურ შთაბეჭდილებას საქართველოს შესახებ, – აცხადებს თინათინ მაღალაშვილი.

## ლია ბაგრატიონს გალერეის დამლაგებელმა ნამუშევარი გადაუგდო



ლია ბაგრატიონს გალერეაში განთავსებული ნამუშევარი დამლაგებელმა მოუგავა და გადაუგდო. ინფორმაცია ამის შესახებ ლია ბაგრატიონმა თავად გაავრცელა:

– „გალერეაში დილით დამლაგებელმა ნამუშევარი გაგავა, იმიტომ, რომ ნაგავი ეგონაო,“ – მაინც გადაჭარბებული ნათქვამი მეგონა.

დილით მივედი იმ ადგილზე, სადაც ჩემი გამოუწვავი თიხის ნამუშევარი წინა სალამოს, ვერნისაჟზე, წყლის წვეთების ზემოქმედებით იშლებოდა. წესით, ღამის განმავლობაში დაშლის პროცესი გაგრძელდებოდა და, სავარაუდოდ, პედესტალიდანაც ჩამოიყრებოდა იატაკზე. მერე მე მივიდოდი, ამ ამბავს ფოტოთი დავადოკუმენტებდი და ნამუშევარიც დასრულდებოდა.

ჰოდა, როგორც უკვე გითხარით, მივედი, შევედი საგამოფენო სივრცეში და ჩემი ნამუშევრის კვალიც აღარ დამხვდა. რომ მოვიკითხე, გაირკვა, რომ დამლაგებელს ნაგავი ეგონა და მოგავა და გაიტანაო. გატანით კი გაიტანა, მაგრამ ნაგავი ემძიმა და მუშას სთხოვა, შენ გადააგდეო. მუშას გადაგდება დაეზარა და იქვე შეინახა სამუშაო დღის დამთავრებამდე. შინ რომ წავალ, თან გავიყოლებო.

გაუმარჯოს სიზარმაცეს! ამან გადაარჩინა ჩემი თეთრი, ძვირფასი თიხა!

„ნივთიერებები და ელემენტები“ – ასე ჰქვია ამ ნამუშევარს.

## ქართულ კულტურას იტალიაში კონფერენცია მიეძღვნა

ქართულ კულტურასა და მის უძველეს ისტორიას იტალიის რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტში კონფერენცია მიეძღვნა.

იტალიაში ახალგაზრდა ელჩის ნენო გაბელიას ინიციატივით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქართულ ეროვნულ სამოსსა და საქართველოს ისტორიასა და ტრადიციებზე „საქართველოს ანარეკლი – მოდისა და კულტურის უძველესი ისტორია“. კონფერენცია საპიენცას უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ეუჯენიო გაუდიომ, ლა საპიენცას ფონდის პრეზიდენტმა ანტონელო ბიაჯინიმ და საქართველოს ელჩმა იტალიაში კონსტანტინე სურგულაძემ გახსნეს.




ელჩმა ქართული ნაციონალური სამოსის თავისებურებებსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. კონფერენციის გახსნის ცერემონიალის შემდეგ რექტორმა საქართველოს ელჩს უნივერსიტეტის ემბლემა და უნივერსიტეტის მიერ გამოცემული საიუბილეო წიგნები გადასცა, საქართველოს საელჩოს სახელით უნივერსიტეტის რექტორს კი ქართული ხელნაკეთი მინანქარი და სხვა საჩუქრები გადაეცა, მათ შორის თექის ოსტატ ცისანა ქოთილაიძის სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის დამზადებული შავი თექის ნაბადი, რომელზეც ქართული ანბანი და „ლა საპიენცას“ ემბლემაა გამოსახული.

## ბესიკ ხარანაული: „მე ამ წიგნში ზეიმი მაქვს შეკვეთილი და არა გლოვა!“



აცხადებს მწერალი და პოეტი ბესიკ ხარანაული და მკითხველს თავის ახალ წიგნს წარუდგენს:

– „დიდი სმა“ – ასე ეწოდება მის წიგნს, რომელსაც მკითხველი სულ მალე იხილავს.

– მე ამ წიგნში ზეიმი მაქვს შეკვეთილი და არა გლოვა! – განმარტავს ბესიკ ხარანაული თავიდანვე და მკითხველს დიდი სმის მისტიკურ რიტუალზე ეპატიჟება, რომ ყოფნა-არყოფნის მარადიული დრამა თავისებური სცენარით წარმოგვიდგინოს.

ქადაგ-ხუცესისგან წერად დამწყალობნების შემდეგ ბესიკ ხარანაული ნამდვილ კარნავალს მართავს, სადაც, საიქიოსა და სააქაოს სივრცეებში, გვერდიგვერდ, სრულფასოვან მოქალაქეებად ჩნდებიან ბრმა ჰომეროსი და ყრუვი გიორგი, ერეკლე მეორის უბირი ქალისგან შეძენილი ვაჟი ბიჩინაგა და გომურში დაბადებული ბალღი, პატარაობიდანვე რომ ლექსის ზნენი დააჩნდება, ლოგინს მიჯაჭვული კუტ-პეტრე და ქიტო პაპა, რომელიც სახარების მასობრივი სცენების უცვლელი მონაწილეა.

ამ წიგნშიც, წინამორბედების მსგავსად და უფრო მეტადაც, სრულყოფილად იშლება ბესიკ ხარანაულის ცხოვრებისა და წერის ლაბორატორია, ხილულიდან უხილავამდე, გზიდან უგზოობამდე, ნაკლის ინსტინქტიდან ღირსების ტვირთამდე, დაღამებიდან გათენებამდე და იმ იდუმალ წამამდე, როცა „ყოველ გაღვიძებაზე არცოდნიდან ვიწყები და მერე დედას ვტირობ ყველაფერს“.

## სამგლოვიარო განცხადებები

თსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლინიკის კადრების სამსახურის უფროსს ნანული გვალიას მეუღლის

**არჩილ გვალიას**

გარდაცვალების გამო.

დავით გვაძაბია, გურამ გვათუა და რობერტ ხაბურზანია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი მამულიშვილის, აფხაზეთის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლის, ნათესავის, უახლოესი მეგობრის

**გიორგი (ჟორა) ვასილის ძე შელეგიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილებს – მაიას, გიორგის, თემურსა და ვასილს, მათი ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## გურული დღიურების ფონდს 3 ახალი სტიპენდიატი ჰყავს



გურული დღიურების ფონდს კიდევ სამი სტიპენდიატი შეემატა: თაზო ჯოჯუა, თაზო ჭანუყვაძე და მევიოლინეთა ანსამბლი „სიმი“.

– ჩვენი ძალისხმევა მომავალი თაობის წახალისებისკენ არის მიმართული, გვინდა, რომ საქართველო განათლებულ ადამიანებს გადავაბაროთ და ამისთვის მართლაც არ ვიშურებთ ძალისხმევას. ამ სტიპენდიატების სპონსორები ამჯერად იქნებიან ჩვენი დიდი ხნის მეგობარი და მხარდამჭერი ნანა გოთუა და ფონდი ქართული გალობა, ბიზნესმენი დავით დავითაშვილი და მარიამ ჭყონია, სპეციალური სტუმარი კი ჩემი მეგობარი და უკვე ფონდის მხარდამჭერი მსახიობი მერაბ ნინიძე გახლდათ, – განაცხადა გურული დღიურების ფონდის დამაარსებელმა გიორგი კეკელიძემ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ქალმა საკუთარ თავს მილიონი უწინასწარმეტყველა და გამდიდრდა




დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ კუინანის მცხოვრებმა ქალბატონმა ლატარიაში მილიონი დოლარის მოგებაზე იხუმრა და მართლაც მოხსნა ჯეკპოტი.

– გავიგე, რომ ლატარიის გამარჯვებული ვიღაც გახდა კუინანიდან, – იხსენებს ქალი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, – მაშინ მე ვიხუმრე, რომ თითქოსდა მე ვიყავი სწორედ ის გამარჯვებული.

ავსტრალიელმა უყურადღებოდ გასინჯა თავისი ბილეთი და გადაწყვიტა, რომ არაფერი ჰქონდა მოგებული.

მისი თქმით, შვილმა ნახა მომგებიანი კომბინაცია და უთხრა: „აი, ნახე, ეს ხომ სწორედ ის მომგებიანი რიცხვებია“. ბედნიერმა ბილეთმა ქალის ოჯახს 1,3 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოუტანა.

გათამაშების გამარჯვებული მოგებული თანხით ვალების გასტუმრებას, დანარჩენი თანხის კი შვილებისა და შვილიშვილების აღზრდაში დახარჯვას აპირებს.

**კ. ხ.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 მაისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7799

ევრო — 3.0954

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.516

100 რუსული რუბლი — 4.3239

## ამინდის პროგნოზი 25 მაისისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

### 28 მაისიდან

მარკ ტვენი

**ტომ სოიერის გადასავალი**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




### 21 მაისიდან

ძმები გრიმები

**ზღაპრები**

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი




### 30 მაისიდან

**დიდ ქართველი მეფეები**

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი





## იუმორი

ბიჭი გოგოს მიმართავს:
– გოგონი, შეიძლება, რაღაც გკითხოთ?
– მე გუგლი კი არ ვარ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ურეკავს და ეუბნება:
– მე და ჩემმა ცოლმა ახალი ბინა ვიყიდეთ, გვესტუმრე, რამდენი ხანია, არ გვინახავს ერთმანეთი.
– რა თქმა უნდა! დიდი სიამოვნებით! და ბინა სად იყიდეთ?
– მუხიანში.
– ისე, არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ერთმანეთს შევხვდით.

•••

ქუჩაში ერთი მამაკაცი მეორეს აჩერებს და ზრდილობიანად მიმართავს:
– საღამო მშვიდობისა, ბატონო! ერთი წუთით ყურადღებას ხომ ვერ დამითმობდით?
– საღამო მშვიდობისა. რამ შეგაწუხათ?
– იცით, რაშია საქმე? მინდა, ცოტა ფული გთხოვოთ. მე არ მაქვს არც სახლი, არც მანქანა, არ მყავს არც ცოლი, არც საყვარელი, არც მეგობრები მყავს, საერთოდ არაფერი გამაჩნია, ამ პისტოლეტის გარდა...

•••

ქალი კაცს ეუბნება:
– ეეჰ, ახალგაზრდობაში როგორი სულელი ვიყავი...
– ახლაც ახალგაზრდულად გამოიყურები!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გვარდიოლა: „სიტიდან წასვლას არ ვაპირებ“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ იმ ჭორებს უპასუხა, რომელთა მიხედვით, ის მომავალ სეზონში იუვენტუსის მწვრთნელი გახდება.

გვარდიოლას თქმით, ეს სიცრუეა და ის არ აპირებს მანჩესტერ სიტიდან წასვლას.

– არ ვიცი, საიდან ვრცელდება ასეთი ინფორმაცია, მაგრამ მე უკვე არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ სიტიდან წასვლას არ ვაპირებ, რადგან აქ კიდევ ბევრი მიზანი მაქვს შესასრულებელი. ოდესმე ამ გუნდს დავტოვებ, მაგრამ, ეს არ ვიცი, როდის მოხდება, – განაცხადა გვარდიოლამ.

წლევანდელ სეზონში გვარდიოლამ მანჩესტერ სიტისთან ერთად 3 ტიტული მოიგო.

## რამოსმა, შესაძლოა, რეალი დატოვოს




ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სერხიო რამოსს არ მოსწონს ბოლო პერიოდში რეალში განვითარებული მოვლენები და ის გუნდის დატოვებას არ გამორიცხავს.

რეალმა წელს ცუდი სეზონი ჩაატარა, გარდა ამისა, გუნდში მუდმივად არის კონფლიქტები მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის. ამის გამო რამოსი რეალიდან წასვლას არ გამორიცხავს.

მისი შეძენა უამრავ გუნდს სურს, მაგრამ განსაკუთრებით პსჟ და მანჩესტერ იუნაიტედი აქტიურობენ.

სერხიო რამოსი რეალში 2005 წელს გადავიდა და გუნდის ლეგენდა გახდა.



© AP

## გრიზმანით მანჩესტერ იუნაიტედი დაინტერესდა

ანტუან გრიზმანის ბარსელონაში ტრანსფერი გაურკვეველი მიზეზებით ჭიანურდება. ამის გამო მისი შეძენით სხვა გუნდებიც დაინტერესდნენ, მაგალითად, მანჩესტერ იუნაიტედი, რომელიც მზად არის, ამ ტრანსფერში 100 მილიონზე მეტი გადაიხადოს. გრიზმანი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს იმაზე, თუ სად გააგრძელებს კარიერას. სავარაუდოდ, ყველაფერი ივნისის დასაწყისში გაირკვევა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## დელ ბოსკე: „ნეიმარს ბავშვის ხასიათი აქვს“



მადრიდის რეალის ყოფილმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ განაცხადა, რომ მას არ სურს ნეიმარის რეალში ხილვა, რადგან ნეიმარს ბავშვის ხასიათი აქვს.

დელ ბოსკეს აზრით, ასეთი ფეხბურთელი გასახდელში ცუდ ატმოსფეროს შექმნის:

– ნეიმარის მთავარი პრობლემა დისციპლინა და ხასიათია, თუმცა მის ნიჭს არავინ უარყოფს. ნეიმარის რეალში ხილვა არ მსურს და ვფიქრობ, რომ კილიან მბაპე გაცილებით მეტად გამოადგებოდა სამეფო გუნდს. ნეიმარი ბავშვივით არის.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სპილენძის შენადნობი კალასა და ტყვიასთან; 2. ცხვრის ტყავის ბეწვიანი ქუდი; 3. ჩინელებით დასახლებული ქალაქის უბნების სახელწოდება აშშ-ში; 4. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 5. ავსტრალიის ძველი დედაქალაქი; 7. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ზღვის დიდი მტაცებელი თევზი; 13. ხარვეზი, ნაკლოვანება; 15. სპირტიანი სასმელი; 16. ჰოლანდიური ყველი; 18. ოქრო-ვერცხლით მორთული ცხენის აღვირი; 19. სითხის საქაჩი მექანიზმი.

**თარაზულად:** 6. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 8. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 9. წმინდა ოქრო; 10. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 12. იმრე კალმანის ოპერეტა; 14. ქართული ხალხური ზღაპარი; 17. ეგვიპტის დედოფალი; 20. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 21. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 22. ტაივანის დედაქალაქი; 23. ისტორიული სატუსაღო პარიზში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**


ფუ ფანგ დან შენ პიან
Fu fang dan Shen pian



გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი

ischemic heart disease
high cholesterol

მაი ვეი დი ჰუანგ ვან
Mai vei di huang van



ჭარბი ოფლიანობა

excessive sweating

ნონ გონ იუენ ძ ვან
Nuan gong yun zi wan



ციკლის მოწესრიგება და უშვილობა

cycle regulation.
Infertility

სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან
Xiao qe wan + liu vei di huang wan



არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში

regulates sugar levels in blood

ჩუან სიონ ჩა თიაო ვან
Huan xiong cha tiao wan



თავის ტკივილი, გაცივება, სისუსტე

head ache, ill, weakness

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/